# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხეირის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 12 იანვარი, 2011 წელი.

№6 (6617)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## ნუ დავუკარგავთ „ამაგს“ იმ ავაგს! ②




## „პრეზიდენტის ბარათის“ სავიზიტო ბარათი,

*ანუ რა უცნაურდიზაინიანი ბარათებით მიულოცა სააკაშვილმა ახალი წელი თანაგუნდელებს* ⑤



## ③ ოქრუაშვილი და კიწმარიშვილი სამაგალითოდ უნდა გასამართლდნენ და მოიკვეთონ!..

## ძალიან ცუდია, როცა სიმართლე არც თავშია და არც ბოლოში, ④

ანუ ცოტა რამ რუსულ-ქართული ურთიერთობის პერსპექტივებზე

## გაერო კი გულხელ-დაკრეფილი მვიცქერის... ⑥




## ნათქვამია, სულელი საკუთარ შეცდომებზე სწავლობს, ჭკვიანი კი – სხვისაზეო. საქართველო კი სააკაშვილის ხელში შეცდომებზე არ სწავლობს, და ვაი რომ არაფერს სწავლობს


⑧

## როგორ იწონებს თავს სენტ-ლუისის ვაშინგტონის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის კედელზე ქართული ასოები,

*ანუ ჩვენც ვიამაყოთ ჩვენი კულტურით* ⑥

## როგორ დაუბრუნეს ქართველებს გვარი და ეროვნება კომუნისტების პერიოდში იმდროინდელმა ჩინოვნიკებმა და მეცნიერებმა, კრემლის ზეწოლის მიუხედავად ⑨

## ტრაგედია „კრწანისის“ სასწავლო პოლიგონზე

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, გუშინ პირველი საარტილერიო ბრიგადის ნაღმმტყორცნელთა ბატალიონის ასეულის ჯარისკაცების წვრთნების დროს სასწავლო ცენტრ „კრწანისში“ აფეთქება მოხდა. 120 მმ ნაღმმტყორცნის ჭურვის აფეთქება სავარაუდოდ წვრთნის დროს დაშვებულმა ტექნიკურმა შეცდომამ გამოიწვია. უბედური შემთხვევის შედეგად დაღუპულია სამი სამხედრო მოსამსახურე და დაჭრილია 13.

მომხდარს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიცია და გენერალური ინსპექცია იძიებს.

თავდაცვის სამინისტრომ დაღუპულთა ოჯახებს სამძიმარი უკვე გამოუცხადა. საქმეზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. გამოძიების დასრულებამდე სამინისტრომ წვრთნები შეაჩერა.

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ „კრწანისის“ პოლიგონზე ქართველი სამხედროების ტრაგიკულად დაღუპვის გამო და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილთა ოჯახებსა და ახლობლებს.**

ცხელ გულზე

# ნუ დავუკარგავთ „ამაგს“ იმ ავაგს!

**აქა ამბავი უპატრონო „ეკლესიას“ დაპატრონებული გარეული „ეშმაკებისა“, კიდევ აქეთ რომ გვედავებიან და სასამართლოთიც გვაშინებენ, „დედალ ძროხებს“ და მაღალ ხელფასებს დახარბებული უვიც-უპასუხისმგებლო შინაური „სოფლის“ უფროსობისა, ყოველივე ამის გამო „აშოტას პურად“ ქცეული ლავაშისა და...**




ქვესათაურის დამამთავრებელი მრავალწერტილის ნაცვლად კიდევ ბევრი „გვარ-სახელ შეცვლილი“ კონკრეტული ობიექტ-სუბიექტისა თუ ნივთ-პროდუქტის ჩამოთვლა შეიძლებოდა, მაგრამ მაშინ თვით ამ წერილის ეს „აქსესუარი“ — ქვესათაური — მოითხოვდა ლამის მთელი საგაზეთო მასალისთვის საჭირო ფართს. ამიტომაც გამოვიყენე სამი წერტილი „მაშველ“ რგოლადაც და ერთგვარ დამაინტრიგებელ სატყუარადაც.

რაც შეეხება წერილის სათაურს, მართლაც არ უნდა დავუკარგოთ „ამაგი“ იმ ავაგს, არუთუნიანს, სომხეთის მეღვინეთა კავშირის თავმჯდომარეს, თავისი, უკაცრაული პასუხია და, თავხედურ-გამომწვევი განცხადებით კიდევ ერთხელ რომ შეგვანჯღრია და გამოგვაფხიზლა.

თუმცა გამოგვაფხიზლა კი და, სულ მცირე, საკადრისი პასუხის გასაცემად მაინც განგვაწყო კი ყურთბალიშზე საღათას ძილით მისვენებულნი? უწინარესად, ცხადია, ისინი, ვისაც „ეკლესიის“ გარეული „ეშმაკებისგან“ დაცვა სამსახურებრივი მდგომარეობით ევალებათ, რომელ სამსახურებრივ მდგომარეობასაც ისინი პირადი კეთილდღეობისთვის საუცხოოდ იყენებენ?

მაინც რა განაცხადა ჩვენგან ამაგდასაფასებელმა ავაგმა?

აი, მცირე ამონარიდი მისი განცხადებიდან, რომელიც გუშინ საინფორმაციო სააგენტო **„პირველმა“** გაავრცელა: **„თუ ქართული მხარე მომავალშიც გააგრძელებს თავისი აბსურდული თეორიების წამოყენებას, ჩვენ ძალიან იოლად, სასამართლო გარჩევის გზით შევძლებთ ჩვენი სიმართლის დამტკიცებას“.**

აი, ასე, მოკლედ და კონკრეტულად!

თანაც, დააკვირდით, როგორი ტონით მოიხსენიებს და ემუქრება იგი ქართულ მხარეს: **„თუ მომავალშიც გააგრძელებს თავისი აბსურდული თეორიების წამოყენებასო“...**

ანუ თუ აქამდე გპატიობდით უამრავ ბავშვურ-ტუტუცურ-თავხედურ გამოხდომასო, აწიო, ბოდიში, მაგრამ, ნურას უკაცრავადო, ანუ თუ სომხური წარმომავლობის ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის პერიფრაზირებით ვიტყვით, დღეიდან ჩვენ ორს შუა მოციქული არის... მოსამართლეო!

**მაინც რამ დააკარგვინა წონასწორობა დინჯ და, თავის თანამემამულეთა მსგავსად, სხვის (ამჯერად ქართველის) საკუთრებაზე არამცთუ ხელი, ფიქრიც კი რომ არასოდეს წასცდენია ისეთ მართალ ავაგ არუთუნიანს?**

რამ და, გაზეთ „კვირის პალიტრის“ წლევანდელი პირველი ნომრის პუბლიკაციამ **Sაფერავი Oღონდ Sომხურად?!**

აი, ერთი ამონარიდი ხსენებული პუბლიკაციიდან:

> **„საფრანგეთში მასობრივად იყიდება სომხურ ანსამბლ „სუხიშვილების“ კონცერტების კომპაქტდისკები, ხოლო ხაჭაპურს — „ხაჩატურიანი“, აჩმას — „აჩმეიდინი“, ჩურჩხელას — „არმიანსკოე ჩუდო“, შოთის პურს — „აშოტას პური“, გოზინაყს კი — „აინუში“ ჰქვია!“**

უნახავს ეს საფრანგეთის ქალაქ მონტობანის რუსულ სუპერმარკეტში იქ მცხოვრებ ნუგზარ სულაშვილს, და, როგორც თავად წერს, ლამის რეტი დასხმია.

თუმცა როცა გონს მოსულა, ამერიკაში განცდილი სიმწარეც გახსენებია და ჩვენთვის ისიც გაუზიარებია ამავე წერილით.

> **„რამდენიმე წლის წინ ამერიკაში ვიყავი. კალიფორნიაში აღმოვაჩინე სომხური „ხვანჭკარა“, „ქინძმარაული“ და „ბორჯომი“, რომელიც მაღაზიასა და აფთიაქებში იყიდებოდა, როგორც საუკეთესო თვისებების მქონე სომხური სამკურნალო მინერალური წყალი. „ბორჯომს“ ყველა წარწერა სომხურ ენაზე ჰქონდა, მხოლოდ მსხვილად წარწერილი „ბორჯომი“ იყო ინგლისურად.**
>
> **დავვინტერესდი „ხვანჭკარისა“ და „ქინძმარაულის“ წარმომავლობით და რამდენიმე დღეში კალიფორნიაში სომხების ფირმას მივაგენი. ეს ამბავი სასწრაფოდ შევატყობინე საქართველოს საელჩოს, რამდენიმე დღეში კი ქართველი „ავტორიტეტები“ დამადგნენ თავზე სომეხ ძმებთან ერთად და საქმე გამირჩიეს, არ გაბედო რაიმეს თქმა და ამ ამბავმა პრესამდე არ მიაღწიოს, თორემ ჩვენ ვიცით და ჩვენმა ბიჭობამო. მივხვდი, რომ მწარმოებლებმა ჩამიშვეს, წყლის ნაყვა იყო ყველაფერი — ყველამ ყველაფერი ძალიან კარგად იცოდა და წილშიც იჯდნენ!**
>
> **საახალწლო არდადეგების შემდეგ საფრანგეთშიც ვაპირებ ამ ამბის გაპროტესტებას, მაგრამ, მგონი, აქაც ქართველების ხელი ურევია და რითი დამთავრდება ეს ამბავი, ღმერთმა იცის.**
>
> **მე თუ მკითხავთ, ეს სომხების ბრალი სულაც არ არის. გასდით და რატომ არა!**

მართალი ბრძანდებით, კიდევ ერთი „სომხური წარმოშობის“ ქართველი პოეტის ილია ჭავჭავაძისა არ იყოს, მიგიხვდი, „ჩემო მოხევევ“, რა ნესტარითაც ხარ ნაჩხვლეტი — ჩვენებური დოყლაპიობა რომ არა, სომხები ამას როგორ გაგვიბედავდნენ!

თუმცა კვლავ ავაგ არუთუნიანს მივუგდოთ ყური:

> **„საფერავი“ ყურძნის ჯიშია, სადღეისოდ კი არავითარი საერთაშორისო დოკუმენტი არ მოიპოვება, რომელიც ყურძნის ამა თუ იმ ჯიშს რომელიმე სახელმწიფოს საკუთრებად აცხადებს. ხომ არ მოითხოვენ, მაგალითად, ფრანგები, რომ შარდონე მათ გარდა არავინ აწარმოოს მხოლოდ იმიტომ, რომ შარდონე თეთრი ყურძნის ფრანგული ჯიშია?!“**

თანაც, თურმე ნუ იტყვით და, **„საფერავის“ ჯიშის ყურძენი ათას წელზე მეტია, სომხეთის ჩრდილოეთით ხარობს და ჯერ კიდევ საკითხავია, პირველმა ვინ დაიწყო „საფერავის“ მოყვანა — ქართველებმა თუ სომხებმა“?**

ხომ მაგარია? ხომ ქვის გამხეთქავი არგუმენტებია?

**ერთსღა ვიტყვი, ამაგარდასაკარგავი ავაგის საყურადღებოდ: დავუშვათ, „საფერავის“ ჯიშის ყურძენიც სომხურია, შოთა რუსთაველიც მართლაც სომეხია და თვით ვეფხისტყაოსანში“ აღწერილი ის ვეფხვიც კი, ხელით რომ შეიპყრო ხმალგატყორცნილმა ტარიელმა, სომხური წარმომავლობისაა, მაგრამ ჩვენი „ჩაკრულო“ როდიდან გახდა სომხური სიმღერა, ჩვენი ანსამბლი „რუსთავი“ კი — სომხური?**

**თქვენთვის, სომხებისთვის, ორგანულად დამახასიათებელ სიმართლე-სიალალეს გაფიცებთ, სხვათა საკუთრების მიტაცებაზე ფიქრსაც კი რომ არ დაგანებებთ, ისეთს, ჩვენი გამოფხიზლებისთვის ამაგდასაფასებელო ავაგ, იქნებ ისიც გვითხრათ, „ხვანჭკარას“ ჯიშის ვაზიც, რომლისგანაც მართლაც კარგი ღვინო „ხვანჭკარა“ მზადდება, სომხეთის ჩრდილოეთით ხარობს თუ სამხრეთ-დასავლეთით?**

თუმცა თქვენთან რა ხელი მაქვს და რას გემართლებით?

კვლავ პოეტის სიტყვებით თუ ვიტყვით, „სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ, რომ კაცად ვერ გამიზრდიხარ!“

არა, ნუ გამიბრაზდებით, ბატონო ავაგ, აღზრდილობას კი არ გიწუნებთ, და ამას თქვენზე კი არა, ჩვენს სოფლის მეურნეობის მინისტრზე ვამბობ, **რადგან ავი შემნახავი მართლაც ქურდზე უარესია.**

ავი შემნახავი კიდევ რატომ არის იგი, იცით? იმიტომ, რომ სოფლის მეურნეობის დარგში „დედალი“ ძროხების გარდა, ცნობისთვის, ვაზიც შედის, **რომელსაც და რომლისგან დამზადებულ ღვინოსაც, სხვათა შორის, მოვლა-პატრონობა, ქართულ დასახელებებსა და სავაჭრო ნიშნებს კი ჯეროვნად დაცვა სჭირდება, რათა ისინი ყველა მსურველმა არ გამოიყენოს!**

უფიქრიათ კი ამაზე ამ სამინისტროს და სხვა შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელობას?

თუ უფიქრიათ, რატომ არ გაკეთდა ყოველივე გასაკეთებელი დროულად და რად ეპოტინებიან მავანნი ჩვენს საკუთრებას? თანაც არა მარტო ეპოტინებიან, არამედ გადიდგულებულნი (ჩვენივ დოყლაპიობითაც, ცხადია!) და პროცესის მოგებით დაიმედებულნი სასამართლოში ჩივილითაც გვემუქრებიან?

**თუმცა, აბა, ამაზე საფიქრად სად სცალიათ ჩვენი სოფლის მეურნეობის სამინისტროში, როცა იქ პირად საქმე-კეთილდღეობაზე ფიქრი და ზრუნვა არ ასვენებთ?**

**ფუქსიტყვაობა და ცილისწამება რომ არ გამომივიდეს, მხოლოდ ერთ ფაქტს და ორიოდ ციფრს დავასახელებ: 2009 წელს ბაკურ კვეზერელის უწყების წლიური ბიუჯეტის 73 პროცენტი პრემიებად განაწილდა, დანარჩენი კი ხელფასებად გაიცა.**

**ქართველი ხალხის დღევანდელი ერთობ შეჭირვებული ყოფის ფონზე ამაზე მეტი უნამუსობა და, ბოდიშს ვიხდი, ლორობა შეიძლება?**

ნათქვამს შეურაცხყოფად მიიღებთ და ბოროტი ჭორების გავრცელებას დაგვაბრალებთ, უფალო მინისტრო?

## ინფორმაცია თემაში

**პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი თებერვლის ბოლოს სომხეთს ოფიციალური ვიზიტით ეწვევა . ინფორმაციას ამის შესახებ სომხური სააგენტოები ავრცელებენ.**

**სააგენტო „ნიუს.ამ“ წერს, რომ ვიზიტის დროს, შესაძლოა, ქართულმა მხარემ სომეხი მეწარმეების მიერ ქართული ბრენდების უკანონოდ გამოყენებისა და მათი შემდგომი ექსპორტირების საკითხი წამოწიოს.**

**გაზეთ „ვზგლიადის“ ინფორმაციით კი, „საქპატენტი“ ამ მიმართულებით აქტიურად იწყებს მუშაობას. ქართული მედია კი პრეზიდენტს ურჩევს კოლეგა სერჟ სარგსიანი „დაანამუსოს“ და ქართველი მწარმოებლების ინტერესები დაიცვას.**

მედიანიუსი

## სამველ კარაპეტიანი: „საქართველო და თურქეთი სომხურ ტაძრებს იტაცებენ“

**წინასწარი შეთანხმება, რომელიც საქართველოში მეჩეთების აღდგენისა და მშენებლობის სანაცვლოდ თურქეთში ოთხი ქრისტიანული ტაძრის აღდგენას ითვალისწინებს, ამორალური და ანტისამეცნიერო ნაბიჯია. ამის შესახებ ARMENIA TODAY-ს კორესპონდენტს სომხური არქიტექტურის სპეციალისტმა სამველ კარაპეტიანმა განუცხადა. მან ასევე აღნიშნა, რომ ყველა მითითებული ტაძარი ქალკედონიტმა-სომხებმა ააგეს.**

მისი თქმით, ამ ტაძრებზე ქართული მხარის პრეტენზია უსამართლო და ამორალურია. **„მაგალითისთვის, როდესაც ერევანში ცისფერი მეჩეთის აღდგენა გადაწყდა, ჩვენ ირანელი სპეციალისტები მოვიწვიეთ. ასე უნდა მოქცეულიყო თურქეთიც, თუ მისი მიზანი ტაძრებისთვის, როგორც კულტურულ-ისტორიული ფასეულობისთვის, პირვანდელი სახის დაბრუნება იყო. მაგრამ საქმე ის არის, რომ მთელ ამ პროცესს პოლიტიკური სარჩული აქვს. საქართველოსთვის მთავარია სომხური ტაძრები მიიტაცოს, ეს თურქებსაც ხელს აძლევს, რადგან სომხოფობიით შეპყრობილი თურქები მზად არიან ტაძრები სომხების გარდა, ნებისმიერს გადასცენ“,** — განაცხადა კარაპეტიანმა.

კარაპეტიანმა აღნიშნა, რომ ყველა სადავო ტაძარი ტაოს რეგიონში მდებარეობს, რომელსაც ის ისტორიული სომხეთის ჩრდილოეთ ნაწილად მიიჩნევს. **„მეათე საუკუნეში დავით კურაპალატის მმართველობის დროს ტაოს სომხურმა სამეფომ ქალკედონიზმი მიიღო, ანუ ბიზანტიის ეკლესიას შეუერთდა. ზუსტად ამ პერიოდში აშენდა ეს ტაძრები, რომლებიც სომხური არქიტექტურის მეორე ოქროს საუკუნის სიმბოლოდ იქცა. მაგა-**


ბანა

კი, ბატონო, შეგიძლიათ, გვიჩივლოთ! ამ საკითხზე მასალა ჩვენი გაზეთის შარშანდელი 17 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა, თანაც „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ მიერ საჯარო ინფორმაციის მონაცემთა შესახებ შექმნილი ახალი ვებგვერდის მასალებზე დაყრდნობით, რომლის უტყუარობა ასევე შეგიძლიათ შეამოწმოთ!

თუმცა ისიც ფაქტია, რომ ყოველივე ამით მარტო ერთი მინისტრი კი არა, მთელი მთავრობა დაინტერესდეს და საქმიან ვითარებაში საგნობრივადაც განიხილოს ყველაფერი.

ტყუილად არ მითქვამს, საქმიან ვითარებაში-მეთქი, რადგან, ვთქვათ, ყვარლის ტბის პირას მთავრობის სხდომის გამართვამ არ გაამართლა.

**ანკი, როგორ გაამართლებდა, როცა სხდომის მონაწილეთა ყურადღება უფრო მეტად იმაზე იყო გადატანილი, ტბაში მოცურავე ფრინველი გედი იყო თუ ბატი ან კვატი.**

**არც მშენებარე სახლის სახურავის ამორჩევამ გაამართლა — ამწეთა ხმაურმა თუ მუშათა ხმამაღალმა თხოვნა-მოთხოვნამ, — გინდათ თუ არა ღამითაც გვამუშავეთო, — არ მისცა მთავრობას სხდომის ნორმალური მუშაობის საშუალება.**

**მერე, როგორც ჩანს, იფიქრეს, მიწისქვეშეთის სიმყუდროვეში სჯობს მუშაობა, იქ ნაღდად ვერვინ დაგვირღვევს სამუშაო რიტმსო, ჩავიდნენ კიდეც სათაფლიის მღვიმეში(?!), მაგრამ იქაც პრეზიდენტის ხუმრობამ, — დინოზავრი არ გავაღვიძო, თორემ აქედან გაგვრეკავსო (შიშს ხომ დიდი თვალები აქვს, თან, მართლაც ისეთ ხუმრობას რა ვუთხარით, მით უფრო პრეზიდენტის ენა-პირით ნათქვამს, რომელიც სანახევროდ მაინც არ იქნება მართალი), მინისტრები იმ დონეზე შეაშინა, რომ ლამის გულწასული ვერონიკა ქობალია თავად პრეზიდენტს გაუხდა გვირაბიდან ნავით გამოსაყვანი.**

**თუმცა შიში აწი ვნახოთ! თანაც მარტო ერთობ დაუმსახურებლად მაღალხელფასიან-პრემიებიანმა მინისტრებმა კი არა, მთელმა ქართველობამ, თუ ავაგ არუთუნიანმა გაგვიმეტა და გვიჩივლა!!**

**მართლაც, ვაი ჩვენს პატრონს! ჩვენსას, უპატრონოდ დარჩენილებისას!!**

**რუსლან რუსია**

**P. S. ცხელ გულზე, როგორც ჟურნალისტები იტყვიან, დღევანდელი ნომრისთვის გათვალისწინებულ ამ მასალას ვწერდი, როცა კვლავ საინფორმაციო სააგენტო „პირველის“ ინფორმაცია მომაწოდეს, რომელიც მას ARMENIA today-ს მასალაზე დაყრდნობით მოემზადებინა.**

**ამ მასალას უკვე უკომენტაროდ გთავაზობთ, დასკვნებს თავადაც გააკეთებთ, მკითხველო.**

**რ. რ.**

**ლითად, ტაოში მდებარე ბანაკის ტაძარს, რომელსაც ზვართნოცის მსგავსი არქიტექტურა აქვს, ქართველები ბანას უწოდებენ და ქართული კულტურის ნაწილად მიიჩნევენ, მაგრამ ეს ასე არ არის“, — აღნიშნა კარაპეტიანმა.**

კარაპეტიანი ასევე აცხადებს, რომ ტაძრებში მრავალი ქართული გრავიურაა, რომლებიც ესთეტიური თვალსაზრისით არაჩვეულებრივადაა შესრულებული, მაგრამ ისეთ გრამატიკულ შეცდომებს შეიცავს, რომელთა დაშვებაც ქართველებს არ შეეძლოთ. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ავტორებმა ქართული არ იცოდნენ.

**„ტაძრები მდიდარია ასევე ფრესკებით, რომლებსაც სომხური გავლენა ეტყობა. ტაოს ტაძრები რუსმა არქიტექტორმა ნ. ტოკარსკიმ შეისწავლა, რომელიც საინტერესო დასკვნამდე მივიდა —არქიტექტორის თქმით, ტაოს არქიტექტურა არც სომხურია, არც ბიზანტიური და არც ქართული, ის ამ კულტურების სინთეზია“, — აღნიშნა კარაპეტიანმა.**

შეგახსენებთ, რომ ანკარამ თბილისს თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ოთხი ქართული ტაძრის აღდგენა შესთავაზა, სანაცვლოდ კი თურქეთი საქართველოსგან აჭარაში ერთი მეჩეთის აგებასა და სამის გარემონტებას ითხოვს.

„პირველი“

**⊙ საპირწონე**

# ოქრუაშვილი და კიწმარიშვილი სამაგალითოდ უნდა გასამართლდნენ და მოიკვეთონ!

**საერთო-სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობა ნონა გაფრინდაშვილის და ელიზბარ ჯაველიძის მოსაზრებებს, რომლის თანახმადაც, წინააღმდეგობის მოძრაობა სახალხო წარმომადგენლობითი კრების საპირწონედ შეიქმნა, მცდარს უწოდებს.**

ამის შესახებ მოძრაობის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

წინააღმდეგობის მოძრაობა ასევე უარყოფს მათი მისამართით გამოთქმულ ბრალდებას, თითქოსდა, მათ ლიდერებს კავშირი აქვთ „ქართული პარტიის“ ლიდერ ეროსი კიწმარიშვილსა და ირაკლი ოქრუაშვილთან.

— მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ და სახალხო კრებას გვაქვს ერთი მიზანი —სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა, წინააღმდეგობის მოძრაობისა და სახალხო კრების ფორმატი განსხვავებულია და ამაში ნეგატიურს და მით უმეტეს, მტრულს ვერაფერს ვხედავთ. ასევე მცდარია მოსაზრება, თითქოს წინააღმდეგობის მოძრაობა კრების წარმომადგენელთა გადმობირებას ეწევა. ჩვენ ღია, საჯარო მოძრაობას ვქმნით და ნებისმიერ მოქალაქეს, მიუხედავად იმისა, რომელ მოძრაობასა თუ არასამთავრობო ორგანიზაციაშია გაწევრებული იგი, უფლება აქვს შემოუერთდეს წინააღმდეგობის მოძრაობის დეკლარაციას, — ნათქვამია წინააღმდეგობის მოძრაობის განცხადებაში და აღნიშნულია, რომ სახალხო კრების და წინააღმდეგობის მოძრაობის ხელისუფლებასთან ბრძოლის მეთოდები განსხვავებულია, რადგან კრება გულისხმობს სახალხო წარმომადგენელთა შეკრებას და კრების ყრილობის გადაწყვეტილებების საფუძველზე სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ კონკრეტული ღონისძიებების გატარებას, ხოლო წინააღმდეგობის მოძრაობა გულისხმობს ქვეყნის მასშტაბით წინააღმდეგობის ფრონტის გახსნას. „რაც, ვფიქრობთ, აბსოლუტურად არ ეწინააღმდეგება და მით უმეტეს, არ იკვეთება კრების მიზნებთან. პირიქით, ეს ორი პროცესი ერთმანეთს ავსებს, — ნათქვამია წინააღმდეგობის მოძრაობის განცხადებაში.

წინააღმდეგობის მოძრაობა ასევე კატეგორიულად უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის თანახმადაც, მათი ლიდერები „ქართულ პარტიასთან“ თანამშრომლობენ.

— წინააღმდეგობის მოძრაობას კავშირი არა აქვს არც ოქრუაშვილ-კიწმარიშვილის დუეტთან და არც „ქართულ პარტიასთან“. უფრო მეტიც, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ქართველი ხალხისა და საქართველოს წინააღმდეგ ჩადენილი არაერთი დანაშაულისათვის სამაგალითოდ უნდა გასამართლდნენ სწორედ ირაკლი ოქრუაშვილი და ეროსი კიწმარიშვილი და მოიკვეთონ ისინი საქართველოს პოლიტიკური და საზოგადოებრივი სივრციდან“, — აღნიშნულია წინააღმდეგობის მოძრაობის განცხადებაში.

**მედიანიუსი**

**⊙ მიმოხილვა**

**2011 წლის ეკონომიკურ პერსპექტივებზე „ინტერპრესნიუსი“ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის ექს-თავმჯდომარეს, თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრის გამგეს, „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა“ (OECD) და „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის“ (EBRD) ევრაზიის ქვეყნებში ბანკების კორპორაციული მართვის კომისიის თავმჯდომარეს ირაკლი კოვზანაძეს ესაუბრა.**



# 2011 წელი ეკონომიკის გარკვეული სტაბილიზაციისა და ზომიერი ზრდის პერიოდი იქნება

**— ბატონო ირაკლი, ექსპერტთა ნაწილი მსოფლიო ეკონომიკური კრისიზის მეორე ტალღას პროგნოზირებს, ისეთი ფინანსური დახმარების იმედი, როგორიც საქართველომ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ მიიღო, ქვეყანას არ უნდა ჰქონდეს; ასეთ ფონზე, როგორი შეიძლება იყოს 2011 წელს საქართველოს ეკონომიკური პერსპექტივა?**

— არა მგონია, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მეორე ტალღა განხორციელდეს. ამერიკასა და ევროპაში შესაბამისი ადეკვატური გადაწყვეტილებებია მიღებული, როგორც მთლიანად საფინანსო სფეროს და საბანკო სექტორის ზედამხედველობის გამკაცრების, სწორი კორპორატიული მართვის, ისე ცალკეული ქვეყნების საბიუჯეტო ხარჯების მკვეთრი შეკვეცის და საბიუჯეტო დეფიციტის შემცირების კუთხით. ამიტომ, უახლოეს პერიოდში კრიზისის გამეორებას არ ველოდები.

რაც შეეხება საქართველოს, მოგეხსენებათ, რომ ამ საუკუნეში 2009 წელი იყო პირველი წელი, როცა საქართველოს ეკონომიკური ვარდნა ჰქონდა — თითქმის 4 %-ით; საბანკო სექტორის ზარალმა 2008 წლის ბოლოს 215 მილიონი ლარი შეადგინა. 2010 წელს გვაქვს ეკონომიკურ ზრდა, სავარაუდოთ, 6%-ის ფარგლებში, ხოლო საბანკო სექტორის წმინდა მოგება 2010 წლის 11 თვის მიხედვით 158 მილიონი ლარია, რაც 2008-2009 წლების ფონზე კარგი მაჩვენებლებია.

დიახ, იმ მასშტაბის ფინანსურ დახმარებას, როგორსაც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ჰქონდა ადგილი, საქართველო ველარ მიიღებს. 2010 წელს ჩვენი ქვეყანა ლებულობდა დახმარებებს, იყო პროგრამები, 2011 წელს კი, მათი რაოდენობა შემცირდება. ვფიქრობ, 2011 წელი ეკონომიკის გარკვეული სტაბილიზაციისა და ზომიერი ზრდის პერიოდი იქნება. თუმცა, საქართველოს მაღალი, 10-12%-იანი ეკონომიკური ზრდა სჭირდება, რადგანაც ქვეყნის წინაშე სერიოზული ეკონომიკური პრობლემებია: მძიმე სოციალური ფონი, მაღალი ინფლაცია, ოფიციალურად საარსებო მინიმუმი 150 ლარამდე გაიზარდა, უმუშევრობა მაღალია, ხოლო ქვეყანაში მილიონამდე ადამიანი თავს ღარიბად მიიჩნევს და დახმარებას ითხოვს. ამავე დროს საქართველოს სჭირდება ინვესტიციების მნიშვნელოვანი ზრდა, მაგრამ ამ საკითხში პრობლემებია. თუ 2007 წელს საქართველოში ინვესტიციებმა თითქმის 2 მილიარდ 100 მილიონ დოლარს მიაღწია, 2010 წელს ინვესტიციების მოცულობა მხოლოდ 500 მილიონი აშშ დოლარის ფარგლებშია, რაც ძალიან მცირეა მაშინ, როცა წლის დასაწყისისათვის პროგნოზი ერთ მილიარდ აშშ დოლარის ინვესტიციებზე კეთდებოდა.

**— 2010 წელი ინფლაციის მაღალი დონით გამოირჩეოდა. თქვენი აზრით, რატომ ვერ შეძლო ეროვნულმა ბანკმა ფასების სტაბილურობის შენარჩუნება და რა უნდა გაკეთდეს 2011 წელს, რომ ინფლაცია მნიშვნელოვნად შემცირდეს.**

— ეროვნული ბანკის მთავარი ამოცანა ფასების სტაბილურობის შენარჩუნება გახლავთ და ცდილობს, მის ხელთ არსებული ყველა ბერკეტი გამოიყენოს საამისოდ, რათა დათრგუნოს ინფლაცია.

2010 წლის ივნისში ინფლაცია, წინა წლის ივნისთან შედარებით, მხოლოდ 3.7 პროცენტს შეადგენდა. მაგრამ, სწორედ წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო ფასების ზრდა, განსაკუთრებით სურსათზე — მარცვლეულზე, წიწიბურაზე, ბრინჯზე და სხვა. საკმარისია ითქვას, რომ სურსათის ფასების ზრდა 2010 წლის ნოემბერში, წინა წლის ნოემბერთან შედარებით, თითქმის 8-ჯერ აღემატებოდა დანარჩენი საქონლის ფასების საშუალო ზრდას (შესაბამისად, 22.3 პროცენტი და 2.8 პროცენტი). ეს კი ნიშნავს — რომ არა გარე ფაქტორებით გამოწვეული ცალკეული სასურსათო საქონლის ფასების ნახტომისებრი მატება, ჩვენ 2010 წელსაც დაბალი ინფლაცია გვექნებოდა.

საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ დღეისთვის ქვეყნის შიდა ბაზარზე რეალიზებული სასურსათო საქონლის 2/3-ზე მეტი იმპორტირებულია, რის გამოც მსოფლიო ბაზრის ფასების ზრდა ავტომატურად გამოიწვევდა შიდა ბაზარზე ფასების ესკალაციას. აღნიშნული ნეგატიური ტენდენციის პირობებში ეროვნულმა ბანკმა, სხვა ღონისძიებების გატარებასთან ერთად, მიიღო სწორი გადაწყვეტილება ლარის თანდათანობითი გამყარების შესახებ, რის შედეგადაც წლის ბოლოსათვის ლარის კურსი, ექვსი თვის წინანდელთან შედარებით, დოლართან მიმართებაში 6 პროცენტული პუნქტით გამყარდა — 1.78-მდე, ნაცვლად 1.89-სა. რომ არა ამგვარი ნაბიჯები, დარწმუნებული ვარ, ინფლაციის ფაქტობრივი ტემპი რამდენიმე პუნქტით უფრო მაღალი იქნებოდა. მაგრამ, აქ არის საკითხი, რომელიც, ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია. საქმე ის არის, რომ გრძელვადიანი მაკროეკონომიკური ხედვით ლარის გამყარების ფასი უფრო მაღალია, ვიდრე მისი ზემოქმედება ინფლაციაზე. ამიტომ ვფიქრობ, რომ ინფლაციის მოთოკვის პროცესში ამ ბერკეტზე უფრო მეტად გამოყენებული უნდა იყოს სხვა საშუალებები. ესაა სტერილიზაციის ღონისძიებები, მათ შორის, სადეპოზიტო სერტიფიკატები, სადეპოზიტო აუქციონები და სხვა. ცენტრალური ბანკი ამ ბერკეტებს იყენებს კიდეც და ვფიქრობ, კიდევ უფრო გააქტიურებს ამ კუთხით მუშაობას, რათა ჭარბი ფულადი მასა მიმოქცევიდან იქნეს ამოღებული.

ასევე, ინფლაციასთან ბრძოლა მხოლოდ მონეტარული საშუალებებით არ უნდა ხდებოდეს. აქ ფისკალური ხერხებიც არის საქმეში ჩასართავი. ამ მიმართულებით ვფიქრობ, მუშაობა გასააქტიურებელია. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს. კერძოდ, თუ პრივატიზაციიდან მიღებული თანხით დაიფარება საგარეო ვალები, ხოლო მიმდინარე შემოსავლებით დავფარავთ მიმდინარე ხარჯებს და ბიუჯეტის დეფიციტსაც შევამცირებთ, ინფლაციური პროცესიც საგრძნობლად მოითოკება, ანუ, მონეტარულ საშუალებებთან ერთად, გამოყენებული უნდა იყოს ფისკალური ხერხები. ვფიქრობ, ასეთ შემთხვევაში, საქართველოს მოსახლეობისთვის ეფექტი უფრო მნიშვნელოვანი იქნება. ინფლაციასთან ბრძოლისას კომპლექსური მიდგომაა საჭირო და აქ მთავრობამ, ფინანსთა სამინისტრომ და ეროვნულმა ბანკმა უნისონში უნდა იმოქმედონ, რამდენადაც მხოლოდ ცენტრალურ ბანკს, მიუხედავად იმისა, რომ მის ხელთ არსებულ ბერკეტებს ეფექტიანად იყენებს, გაუჭირდება ინფლაციასთან ბრძოლა და მისი შემცირება.

იხ. 5 გვ.

**⊙ პროფკავშირები**

# სატრანსპორტო ადმინისტრაციას ადანაშაულებენ

**საქართველოს ტრანსპორტისა და გზების მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარე ლავრენტი ალანია რუსთავი-თბილისის სამარშრუტო ტაქსის მგზავრობის გაძვირებაში მთავარ დამნაშავედ საქართველოს სატრანსპორტო ადმინისტრაციას მიიჩნევს. როგორც მან გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რუსთავის მაგალითი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ტრანსპორტის მგზავრობის გაძვირებას გამოიწვევს.**

სამარშრუტო ტაქსების კომპანიების მხრივ სავალალო მდგომარეობაა ქუთაისში, სადაც ერთ ხაზზე რამდენიმე კომპანიის სამარშრუტო ტაქსი მუშაობს, რაც გამოიწვია ტრანსპორტის სფეროში ანარქიამ და სრულმა ქაოსმა.



ლავრენტი ალანია ვარაუდობს, რომ ამა წლის თებერვლიდან საქალაქთაშორისო ტრანსპორტის მგზავრობა მთელი საქართველოს მასშტაბით გაძვირდება.

— მთავარი გამოსავალი არის ის, რომ ჩატარდეს გამოკვლევა და დადგინდეს სტატისტიკა, რამდენი კანონიერი და უკანონო სამარშრუტო ხაზი არსებობს. ამის შემდეგ კი ხელისუფლებამ უნდა მიიღოს კანონი, რომელიც დაარეგულირებს სამარშრუტო სქემებს, — განაცხადა ლავრენტი ალანიამ.

ალანია დებატებში იწვევს სატრანსპორტო ადმინისტრაციის თავმჯდომარე ირაკლი დავითაძეს, რათა დაუმტკიცოს, რომ ის არაპროფესიონალია.

**მედიანიუსი**



მრევლი

# ბებერი მწერლის გაბზარული, მაგრამ გაუტეხელი გულის ჩივილი...

**წერილი უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს ილია მეორეს**

**„კურდღელმა თქვა ჩირგვში მზივარ, ვერვინ მოვა ჩემზედაო“...**

ხმადაკარგული და ხმალდაკარგული, მხოლოდ კალმით მებრძოლი ქართველი მწერლისგან, ათი მცნებითა და ცხრა ნეტარებით, მხოლოდ უფლის ნებით, მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეთა უღელტეხილზე ამხედრებულ ქართველ ქრისტიანთა მღვდელმთავარს, თერგივით წყნარსა და ხანაც თერგივით მოქაფქაფე, მრისხანე მღვდელმთავარს, მწყემსმთავარს, უწმინდესსა და უნეტარეს პატრიარქს ილია მეორეს, ქართლის მომკილი ყანის ნაწვერალიდან მოქვიტკირე ბებერი მწერლის გაბზარული, მაგრამ გაუტეხელი გულის ჩივილი...



მოვრჩი გადათეთრებას და თქვენამდე მოვჩოჩორიკდი, დიდო გამრიგევ, ჩვენო უძლეველო პატრიარქო, ოცსაუკუნოვან ქართველ ქრისტიანთა ბურჯო-აუღებელო, გაუტეხელო მამაო-ჩვენო!!!

კიდევ ერთხელ გეახელით ბებერი მწერალი და სამღვდელო დიაკონი, მამულებაჩეხილი ცხინვალის მკვიდრი, მკვდარივით ვერაფრისშემძლე მამა ელიოზი. ცისკარს ძლივს ამოვასწარ მწევრებდადევნებულმა და თქვენს კალთას ამოვეფარე, დაღლილი ჩრდილში მივეგდე და თქვენი გარჯით მოხიბლულმა მუხა გიწოდეთ, სულიერების ქართული მუხა. თქვენი მრევლირკონი ვართ, თქვენი.

ტახის ეშვების კასკასი არ გვაშინებს, არც მისი წვრილჭუტა თვალები. ეკლესიამდე მწერალი გახლდით, ესეც ღვთის ნებით. თქვენგან წმინდანად წოდებული დიდი ილია მართალი გვასწავლიდა წერას:

**„მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის,**
**მიწიერი ზეციერსა,**
**ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,**
**რომ წარვუძღვე წინა ერსა“...**

საქართველოს ყველა კუთხეში ისმის თქვენი ლოცვა, ილიას სიტყვებთან ერთად, ქრისტესმიერი ტკივილებია ორივეს გულში.

ჩვენო მეუფევ, სულის საყვირო, თქვენს ეპისტოლეს უსმენს წირვად დამდგარი მთელი ერი.

**„კაცი პატივსა შინა იყო და ვერა გულისხმაჰყო,**
**ჰბაძვიდა იგი პირუტყვთა უგუნურთა**
**და მიემსგავსა მათ“.**

ოცი წელია კონკიას ბროლის ქოშივით მიჭირავს რამდენიმე ათასი ჩემი წიგნი: „ანდერძი“ და „აღემართენით“. არც მკითხველია, არც განმკითხველი, არც წამკითხველი... იქნებ როგორმე ხელი მომიმართოთ და სული ჩაბეროთ. ფერეიდანსა და შავშეთ-ერუშეთში მაინც ჩამატანინოთ. იმათ კარგი შენახვა იციან ქართული სიტყვისა, ისეთ დროს მოგვაშველებენ, როცა ჩვენს ენას დავიწყების ქვაზე ედება თავი.

XX და XXI საუკუნეთა უნაგირზე კვლავაც ორი ქართველი მგზავრი გვიზის წერილების წიგნით... ერთი ძველია ილია მართალი, მეორეც ილიაა, ესეც მართალი... ჩვენც მართლები ვართ, ჩემო მკითხველო. ეგრე არ არის?!

**მწერალი და სამღვდელო დიაკონი**
**მამა ელიოზი (მერაბ ელიოზიშვილი)**
**ქრისტეშობის 11, 2010 წელი.**

საღამო

## „ქართველი პოეტები - პატრიარქს“

**ამ სახელწოდებით საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში პოეზიის საღამო გაიმართა, რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის აღსაყდრების 33-ე წლისთავს მიეძღვნა.**

საღამოს, რომელსაც საშობაო მადლი დაჰყვა, მღვდელმთავრები და საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები დაესწრნენ. საღამო მიჰყავდათ ნათია ბერაძესა და ერეკლე საღლიანს.





პატრიარქისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს: თემურ ჩალაბაშვილმა, ტარიელ ხარხელაურმა, თამარ შაიშმელაშვილმა, მეუფე თადეოზმა, მამა პეტრემ (კვარაცხელია), ლია ბედოშვილმა, ერეკლე საღლიანმა, თამარ ფარჩუკიძემ, ჯანსუღ ჩარკვიანმა, გივი შაჰნაზარმა, ნანა ცინცაძემ და სხვებმა.

საგალობლები შეასრულეს სიონის ტაძრის მგალობელთა გუნდმა, ანსამბლებმა „საგალობელმა“ და „ჭონამ“.

სამწუხაროდ, გადატვირთული განრიგის გამო, პატრიარქი პოეტებს ვერ შეხვდა.

პოეზიის საღამოს დასრულების შემდეგ ოქრომკედითა და მძივებით შესრულებული ნამუშევრების, ხატების, თექისა და მინანქრის ნაკეთობების, ხის ზარდახშებისა და თოჯინების გამოფენა გაიმართა.

ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის ხელმძღვანელმა, ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსმა, მეუფე სტეფანემ (კალაიჯიშვილი) აღნიშნა, რომ გამოიცემა პატრიარქისადმი მიძღვნილი ლექსების კრებული. მსურველს შეუძლია ერთი თვის განმავლობაში ახალგაზრდულ ცენტრში მიიტანოს ლექსი. საუკეთესოებს კომპეტენტური კოლეგია გამოავლენს და კრებულში შეიტანს.

**ნატა ნიბლაძე**

აქტუალური ინტერვიუ

# ძალიან ცუდია, როცა სიმართლე არც თავშია და არც ბოლოში!..



***რუსულ-ქართული ურთიერთობების პერსპექტივებზე, მოსკოვსა და თბილისს შორის დიალოგის დაწყების სავარაუდო სცენარებზე „ინტერპრესნიუსი“ პოლიტოლოგ სოსო ცინცაძეს ესაუბრა***

**— ბატონო სოსო, გასული წლის ბოლოს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, ბატონმა გრიგოლ ვაშაძემ განაცხადა — „რუსეთთან დიალოგის გარეშე არაფერი გადაწყდება“. ქართულმა მხარემ რუსეთთან ურთიერთობის გარკვეული ფორმულა რომ უნდა შეიმუშაოს, ამაზე ყველა თანხმდება, მაგრამ როგორი უნდა იყოს ეს ფორმულა, ამ თემაზე პოლიტიკურ წრეებსა და საზოგადოებაში არა მარტო დიამეტრულად განსხვავებული მიდგომები არსებობს, არამედ ხშირ შემთხვევაში — ურთიერთგამომრიცხავიც. ორ ქვეყანას შორის არ არსებობს დიპლომატიური ურთიერთობები, რუსეთის ხელისუფლება აცხადებს, რომ პრეზიდენტ სააკაშვილთან საუბარს არ აპირებს; ასეთ ვითარებაში მოსკოვსა და თბილისს შორის მოლაპარაკებების დაწყების რა პერსპექტივა არსებობს და არსებული რეალიების გათვალისწინებით როგორია საერთაშორისო პრაქტიკა?**

— რასაკვირველია, დიალოგი რუსეთთან აუცილებელია, ეს აქსიომაა, მაგრამ, როცა კონკრეტიკისკენ მივდივართ, მერე გვხვდება გადაულახავი ან ძალიან ძნელად გადასალახავი ბარიერები. გასაგებია, რომ დიალოგი უპირობოდ უნდა დაიწყოს, მაგრამ დიალოგის ფორმატი დღის წესრიგის გარეშე, ძველი რომაელებიდან მოყოლებული, დღემდე არავის არ გამოუგონია. თუ ორი მხარე წინასწარ არ შეთანხმდა, რაზე იმსჯელებენ, დიალოგის დაწყება წარმოუდგენელია. ეს არ გახლავთ პირობა, ეს დიალოგის დაწყების წესია.

რუსეთი საქართველოსთან დიალოგის დაწყების პირობად ახალი რეალიების გათვალისწინებას მოითხოვს. თუ რას ნიშნავს რუსეთისათვის ახალი რეალობა, ჩვენთან უკვე მეოთხე კლასელებმაც იციან. მოსკოვი აცხადებს, რომ სოხუმი და ცხინვალი დამოუკიდებელია და თბილისისაგან ომის შედეგების აღიარებას ითხოვს. ასეთ ვითარებაში ჩვენ რაზე უნდა ვილაპარაკოთ? იმაზე, რომ გვაქვს მხოლოდ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულება?

საერთაშორისო სამართლის პრაქტიკით ჩვენ დღეს რუსეთთან თეორიულად საომარ მდგომარეობაში ვიმყოფებით ისევე, როგორც რუსეთი იაპონიასთან იმყოფება საომარ მდგომარეობაში. რუსეთსა და იაპონიას შორის სამშვიდობო ზავი არ არის დადებული. იაპონია რუსეთისგან დღემდე თხოულობს კუნძულების — უტურუპის, კუნაშირისა და ჰაბომაის გადაცემას, რუსეთი კი კატეგორიული წინააღმდეგია. პრეზიდენტი მედვედევი კუნძულ კუნაშირზეც კი ჩავიდა. იაპონია ერთ სერიოზულ დათმობაზე წავიდა — ტოკიოს მოსკოვთან სამშვიდობო ხელშეკრულება არა აქვს გაფორმებული, მაგრამ დიპლომატიური ურთიერთობა აქვს. საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, ეს ნონსენსია.

**— ჩვენ შეიძლება ამ გზით ვიაროთ?**

— ამ თემაზე ჩემთან აკადემიაში მოსული იაპონიის ელჩი მესაუბრა და დელიკატურად მისაყვედურა, რომ ჩვენ რუსეთთან მიმართებაში იაპონიის გალითს არ ვიყენებთ, ანუ არ ვამყარებთ რუსეთთან დიპლომატიურ და სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს, იმავდროულად არ ვაღიარებთ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას. იაპონიას შეუძლია, თავს მისცეს ასეთი ფუფუნების უფლება, ვინაიდან იაპონიისათვის კუნძულები უტურუპი და კუნაშირი ისეთი მნიშვნელოვანი არ არის, როგორც ჩვენთვის — აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი. ამიტომ, აქ პარალელების გავლება უადგილო და არაადეკვატურია. ჩემი არგუმენტი იაპონიის ელჩს ვუთხარი და დამეთანხმა.

არის საკითხები, რომლებშიც ჩვენ რუსეთთან ვერასდროს ვერ შევთანხმდებით. საქართველოს ვერც ერთი პრეზიდენტი ვერ დათანხმდება, რომ რუსეთს საქართველოში სამი ელჩი, ერთი თბილისში და კიდევ თითო-თითო სოხუმსა და ცხინვალში ჰყავდეს. ეს გამორიცხულია. ვთქვათ, რუსეთმა გახსნა საზღვრები და რუსეთის ბაზარზე დაუშვა ჩვენი პროდუქტები, მაგრამ რისთვის?

ჩემი აზრით, დღეს რუსეთთან მიმართებაში უნიკალური სიტუაცია და უკანასკნელი ბერკეტი გვაქვს. ეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთისათვის ჩვენი თანხმობის მიცემა-არმიცემაა. აშშ-ის ექსსახელმწიფო მდივნებს კისინჯერსა და ბეიკერს რუსეთში კონსალტინგური კომპანიები, ანუ ბიზნესი აქვთ. ამას წინათ, კისინჯერის სამსახურის ერთ-ერთმა ექსპერტმა პირდაპირ განაცხადა — საქართველოს არავინ არაფერს ეკითხება და ჩვენ თბილისს არ მივცემთ უფლებას, რუსეთთან დაწყებული თამაში გაგვიფუჭოსო. რუსეთში ამერიკული კონსალტინგური კომპანიების საშუალებით იშოვეს პირველი დიდი ფული ნოლაიდელმა და ქავთარაძემ. შემდეგ მათ თავისი კომპანიები ცოლებზე გადააფორმეს. ამიტომ, ჩვენ შეიძლება ვისაუბროთ ჩვენი თანხმობის სანაცვლოდ საზღვრების გახსნაზე, ფრენების სრულფასოვნად აღდგენაზე, ჩვენი მოქალაქეებისთვის რუსეთში ბიზნესის სფეროში უპირატესი ხელშეწყობის მსგავს თემებზე. მაგრამ, საქმე იმაშია, რომ ჩვენს ქართულ დიპლომატიას ბოლო 10 წელი წარმატებები ნამდვილად ჰქონდა. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ დააკანონა ტერმინი „ოკუპაცია“. ეს არ იყო უბრალო საქმე და მივიჩნევ, რომ ამას ხელი შეუწყო, როგორც პრეზიდენტის ვიზიტებმა ლათინური ამერიკის ქვეყნებში, ისე — ჩვენი ამერიკელი და ევროპელი პარტნიორების მხარდაჭერამ. მაგრამ რუსულ-ქართული ურთიერთობის თემაზე საუბრისას საგარეო პოლიტიკაში დელიკატური სიტუაცია იქმნება. ერთი მხრივ, ჩვენი კურსი რუსეთის, როგორც აგრესორის ლუსტრაცია და ისაა, რომ რუსეთი ემუქრება საქართველოს. საქართველოს დედაქალაქიდან არც ისე შორს, რუსული ქვემეხების გარდა, „სმერჩები“ დგას, რაც იმას ნიშნავს, რომ რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართ ახალი აგრესია გამორიცხული არ არის.

ჩვენი დიდ ნაკლად ის მიმაჩნია, რომ საზოგადოებაში რუსეთთან ურთიერთობებთან დაკავშირებით ერთი მხრივ ჩვენსა და, მეორე მხრივ, რუსული მხარის კომპრომისებზე მსჯელობა არ მიმდინარეობს. ქართულ-რუსული ურთიერთობების პერსპექტივაზე ღია დისკუსიები უნდა იმართებოდეს. ამ თემაზე აკადემიურ წრეებში უნდა მიდიოდეს მსჯელობა და კამათი. საგარეო პოლიტიკაზე ერთი ჟურნალიც არ გამოდის, რომლის ფურცლებზეც შესაძლებელი იქნებოდა ამ თემებზე მეცნიერთა აზრების შეჯერება.

იხ. 7 გვ.

მოლოცვა მიშასებურად

# „პრეზიდენტის ბარათის“ სავიზიტო ბარათი

**შინაგან საქმეთა სამინისტრო, „მშვიდობის ხიდი“, პარლამენტის მომავალი შენობა ქუთაისში, ბათუმის „შერატონი“, „დედაენის კოშკი“, ახალი ჩქაროსნული მატარებელი და რამდენიმე უცნობი შენობის მაკეტი, — ამ შენობებით ქვეყნის პირველი პირი ამაყობს. ყველა ეს შენობა ერთად ერთ მისალოც ბარათზე დაეტია. მას ხელს ქვეყნის პირველი პირი აწერს. ადრესატებს პრეზიდენტის ბარათი საახალწლო დღეებში დაეგზავნათ.**

„ჩვენ ერთად ავაშენებთ ჩვენს ლამაზ ქვეყანას. ჩვენი ძალა ერთობაშია. ერთად ხელჩაკიდებულნი აუცილებლად მივიყვანთ საქართველოს სამშვიდობოზე“. ადრესატთა ვინაობა უცნობია. ბარათი მათ გვარებს ვერ იტევს. პრეზიდენტი მათ ქვეყნისა და ხალხის



წინაშე გაწეული ღვაწლისთვის მადლობას უხდის.

პრეზიდენტის ბარათზე ყველა შენობა რევოლუციის შემდგომი საქართველოდანაა. ფსიქოლოგები ამბობენ, რომ მისალოცი ბარათის სავიზიტო ბარათი სააკაშვილის ვირტუალური სამყაროა.ყველაფერი ახალი, შუშის და არაფერი — ისტორიიდან.

— ძნელია იმის თქმა, თუ რა სიმბოლო შეიძლება იყოს გამოსახული მისალოც ბარათზე; ყველაფერი დამოკიდებულია პიროვნებაზე, თუ ვისთან გვაქვს საქმე, — ამბობს ფილოსოფოსი ზაზა ფირალიშვილი.

მისალოც ბარათებს ესთეტიკური სახე დაუწუნა ფილოსოფოსმა გიორგი მარგველაშვილმა. „სააკაშვილის ესთეტიკა ცალკე თემაა. მთელი ქვეყნის მასშტაბით ხან რას ლებავს და ხან რას აშენებს. ბარათის პირველი გვერდი არანაირ ესთეტიკურ შთაბეჭდილებას არ ტოვებს“, — განაცხადა მან.

პრეზიდენტის ბარათის პირველი გვერდით ფილოსოფოსი ლელა გაფრინდაშვილი თავისუფლად საუბრობს პრეზიდენტის პრიორიტეტებზე. ის ამბობს: „პირველი გვერდი არის ქვეყნის მეთაურის მკაფიო მესიჯი, თუ რას ანიჭებს იგი უპირატესობას. ბარათზე უმჯობესია ადამიანები იყვნენ და არა შენობები. დემოკრატია, სახელმწიფოებრიობა, კანონი, სამართლიანობა უნდა უკავშირდებოდეს ადამიანებს და არა შენობებს“.

მისალოც ბარათზე ასევე გამოსახულია სიყვარულის მონუმენტი „ალი და ნინო“, ქუთაისის ოპერა და ბათუმის „პიაცა“. ერთ-ერთი გვერდი ეთმობა განახლებულ მესტიას.

ყველა რესპონდენტი თანხმდება, რომ პრეზიდენტის მიერ კონკრეტული ადამიანებისთვის საახალწლოდ



გაგზავნილი მისალოცი ბარათები უჩვეულო არაა, მაგრამ უცნაურია დიზაინით.

მისალოცი ბარათი შეიძლება ტურიზმის დეპარტამენტის ან რომელიმე ტურისტული კომპანიის სარეკლამო ბუკლეტში აგერიოთ, თუმცა არაფერში აგერევათ საქართველოს პრეზიდენტის ფაქსიმილე და მისი სურვილები.

**ქეთი შარაშენიძე.**
**„ინტერპრესნიუსი“**

მიმოხილვა

**(მესამე გვერდიდან)**

**— თქვენი აზრით, რა ვითარებაა ქვეყნის საბანკო სექტორში? რატომ არის 2011 წელს ეროვნული ბანკის მთავარი ამოცანა ლარიზაციის მაჩვენებლის ზრდა და რამდენად მნიშვნელოვანია ქვეყანაში ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტებისა და კრედიტების ზრდა.**

— ვფიქრობ, რომ მდგომარეობა საბანკო სექტორში უმჯობესდება. მინდა, მოვიყვანო ამ მიმართულებით რამდენიმე პოზიტიური ფაქტი. საბანკო სისტემის აქტივებმა 2010 წლის 11 თვეში 10-მილიარდიან ზღვარს გადააბიჯა და 22.3%-ით გაიზარდა. ეს ისტორიული მაქსიმუმია და 2008 წლის ომამდელ მაჩვენებელზე 14.0%-ით, ანუ 1.2 მლრდ ლარით მეტია.

პირველად 2008 წლის შემდეგ 2010 წლის დასაწყისიდან გვაქვს ბანკების საკრედიტო პორტფელის ყოველთვიური ზრდა. სულ 2010 წლის დასაწყისიდან 11 თვეში მისი მოცულობა 16. 2%-ით გაიზარდა და 6-მილიარდიან ზღვარს გადააბიჯა. ეს ომამდელ მაჩვენებელს 11. 4%-ით, ანუ 349 მლნ ლარით აღემატება.

2010 წლის განმავლობაში არის არსებული საკრედიტო პორტფელის ხარისხის გაუმჯობესების ტენდენცია. თუკი წლის დასაწყისში სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების შეფარდება საკრედიტო პორტფელთან 12.8% იყო, დღეისათვის 10.3%-ის ტოლია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია იურიდიული და ფიზიკური პირების დეპოზიტების (გარდა ბანკების დეპოზიტებისა) მნიშვნელოვანი ზრდა 2010 წლის განმავლობაში. იურიდიული პირების დეპოზიტები (გარდა ბანკთაშორისი დეპოზიტებისა) 1. 85 მლრდ ლარიდან 2.63 მლრდ ლარამდე, ანუ 42.3%-ით გაიზარდა. ფიზიკური პირების დეპოზიტები იმავე პერიოდში 2.10 მლრდ ლარიდან 2.51 მლრდ ლარამდე, ანუ 19.3%-ით გაიზარდა. ორივე მაჩვენებელი ისტორიული მაქსიმუმია.

2010 წლის განმავლობაში, იანვრის გარდა, ყველა თვე ბანკებისთვის საბოლოო ფინანსური მაჩვენებლითაც წარმატებული აღმოჩნდა. 2010 წლის 11 თვეში ბანკების საერთო წმინდა მოგებამ 158.6 მლნ ლარს მიაღწია, მნიშვნელოვნად შემცირდა ზარალიანი ბანკების რაოდენობაც. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით მათმა რაოდენობამ 13-დან 7-მდე იკლო.

# 2011 წელი ეკონომიკის გარკვეული სტაბილიზაციისა და ზომიერი ზრდის პერიოდი იქნება



მინდა, მკითხველს შევახსენო, რომ 2008 წელს საბანკო სისტემის აქტივები შემცირდა 13%-ით, რამაც 1 მილიარდ 26 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო სისტემის ზარალი 2009 წლის 1 იანვრისთვის 215 მილიონი ლარი იყო. ასე რომ, 2010 წელს საბანკო სექტორის პროგრესი სახეზე იყო.

რაც შეეხება ლარიზაციას. ეროვნულ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები, გაცემული კრედიტები, დეპოზიტები მეტყველებენ არა მარტო ზოგადად ეკონომიკის საერთო მდგომარეობასა და მის დინამიზმზე, არამედ, ეროვნული ვალუტისადმი ქვეყნის მოსახლეობის, საქმიანი წრეებისა და ინსტიტუტების ნდობაზე. 2008 წლის აგვისტოს ომმა სერიოზულად შეაფერხა ეკონომიკის, დეპოზიტებისა და კრედიტების ლარიზაციის პროცესი. ზოგადად კი, ლარიზაცია არის მიმართული ქმედებები საბანკო სექტორის დედოლარიზაციისკენ. პრაქტიკულად, როდესაც ჩვენ დეპოზიტების 70%-ზე მეტი გვაქვს უცხოურ ვალუტაში და კრედიტების 76-77%-ზე მეტი ასევე უცხოურ ვალუტაშია ნომინირებული, ამის წინააღმდეგ ბრძოლის ერთი საშუალება არსებობს, — ესაა ლარის მიმართ რეალური ნდობის ჩამოყალიბება, რაც ნიშნავს ქვეყნის ეკონომიკის მდგრად განვითარებას და მის ბაზაზე ეროვნული ვალუტის კურსის პროგნოზირებას. ეს ასევე გრძელვადიანი პროცესია, რადგან საქართველოს ეკონომიკის დოლარიზაცია ისტორიულია. თუ გადახედავთ, ნახავთ რომ მთელი დეპოზიტების, დავუშვათ, 70-75% არის უცხოურ ვალუტაში, მაგრამ ფიზიკური პირების დეპოზიტებს თუ აიღებთ, ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალი იქნება. ამიტომ აუცილებელია ლარის კურსის მკვეთრი რყევები თავიდან იქნას აცილებული. თუმცა, ამჟამინდელი ლარის გამყარების პროცესი ლარიზაციას ხელს უწყობს.

2008 წლის ნოემბერში ლარი ამერიკული დოლარის მიმართ ერთბაშად 16%-ით დაეცა და 1.42-დან 1.65-ის მაჩვენებელს მიაღწია; 2010 წელს ლარი ჯერ დაეცა 1.69-დან 1.88-მდე, ხოლო შემდეგ კვლავ გამყარდა 1.77-მდე. ეს პროცესები მოსახლეობის ცნობიერებასა და მეხსიერებაში ნეგატიურად არის დალექილი. ამდენად ამოცანა, რომელიც ლარიზაციის წახალისებას გულისხმობს, საკმაოდ სერიოზულია და ამ კუთხით ეროვნულ ბანკს მნიშვნელოვანი სამუშაოს გაწევა მოუხდება. ამ გზაზე კი, უმთავრეს პირობად მე კურსის მკვეთრი ცვლილებების თავიდან აცილება მიმაჩნია.

**— ქართველ ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ხელისუფლებას ეკონომიკური პოლიტიკა და ეკონომიკური ხედვა არ აქვს. საერთოდ, გაუგებარია საქართველო ევროკავშირისკენ მიისწრაფვის თუ სინგაპურისკენ; ხელისუფლება არ დგამს ისეთ ნაბიჯებს, რომელთა განხორციელბის შემთხვევაში საქართველოს ევროკავშირთან და აშშ-სთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებებს გააფორმებდა. თქვენი აზრით, რამდენად საფუძვლიანია ბრალდებები და რატომ არ აჩქარებს ხელისუფლება ბრიუსელთან და ვაშინგტონთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებების გაფორმებას.**

— ამ საკითხზე შემიძლია მხოლოდ ის გითხრათ, რომ დასაჩქარებელია, როგორც ინსტიტუციური, ისე სოციალური ტიპის გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც ჩვენ ევროკავშირთან დაგვაახლოებდა და საქართველოსთვის ევროკავშირის ბაზარს გახსნიდა. პირველი ამ კუთხით რაც მახსენდება, ანტიმონოპოლიური სამსახურის არარსებობა ან რეალურად უმოქმედობა, ასევე ხარისხის კონტროლთან დაკავშირებული პრობლემებია. თუ ჩვენ ევროპულ ბაზარზე შესვლა გვინდა, საქართველოში ევროპაში მოქმედის მსგავსი ინსტიტუციები უნდა შევქმნათ.

**— ოფიციალური მონაცემებითაც უმუშევრობა და ინფლაციის დონე საკმაოდ მაღალია. ასეთ დროს, თქვენი აზრით, ეკონომიკურ სფეროში რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას, რომ ქვეყანამ მძიმე სოციალური ფონი დაძლიოს და სოციალური ვითარება არ დაძაბოს?**

— ორიგინალური ვერ ვიქნები და ვიტყვი, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, სოციალური ინფასტრუქტურის პროექტების შემდგომი რეალიზაცია საშუალებას იძლევა, შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები, შემცირდეს დრო ბიზნესის წარმოებისთვის. ადგილობრივი პროდუქციის გადამუშავების მაღალი დონე, იმპორტის მაქსიმალური ჩანაცვლება სამამულო პროდუქციით, რაც შეიძლება ადგილობრივი მომხმარებლის მოხმარების მასშტაბებს არ ზრდის, მაგრამ საშუალებას იძლევა, გადახდილი თანხა ისევ საქართველოში დარჩეს და ადგილზე უზრუნველყოს დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი ეკონომიკის ისეთი ტრადიციული მიმართულებებისთვის, როგორებიც არის სოფლის მეურნეობა და კვების მრეწველობა — იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო პერიოდის ინფლაციის 9/10-ზე მეტი სწორედ სურსათის გაძვირებაზე მოდიოდა.

**„ინტერპრესნიუსი“**

**სარედაქციო ფოსტიდან**

# გაერო კი გულხელდაკრეფილი გვიცქერის...

მე ვინ მეკითხება, მაგრამ თუ მკითხავდნენ, ასე შევაფასებდი რუსულად გაეროს მოღვაწეობას.

„რა სარგებლობა მოაქვს მამალს?“ – ეკითხება მასწავლებელი ბავშვებს ნანა მჭედლიძის ფილმში „იმერული ესკიზები“. ბავშვები სარგებლობის ყველა სახეს ჩამოთვლიან, რაც კი ადამიანს შეუძლია მისცეს მამალმა. მასწავლებელი კი კვლავ მოითხოვს: „კიიდო, კიიდო?“. ალბათ, დილით ყივილს და მაღვიძარობას გულისხმობდა. მაგრამ ერთი საწყალი მოსწავლე მამლის სხვა „დამსახურებას“ გაიხსენებს და გაუბედავად იტყვის – „ჩინჩლავს“, რასაც ჯგუფიდან მისი გაქება მოჰყვება.

რაც შეეხება გაეროს, მისგან სარგებლობა მხოლოდ ჩინჩლვაშია, ისიც, მეტწილად დაჩაგრული ქვეყნების და არა აგრესორების.

ახლა კი მთელი სერიოზულობით: არა მგონია გაეროს ფუნქციებში არ შედიოდეს ისეთი საერთაშორისო მნიშვნელობის კონფლიქტების დარეგულირება, როგორიცაა მოლდავეთის, ყოფილი იუგოსლავიის, ვიეტნამის, ერაყის, ავღანეთის, ყარაბაღის, კურილიის კუნძულების, საქართველოს და სხვა მრავალის. იქნებ ვინმემ გაიხსენოს და შემაშველოს სიტყვა – ამ საერთაშორისო აურზაურში თუ რომელიმე, თუნდაც უმარტივესი, საკითხი მოუწესრიგებია გაეროს. ამ ორგანიზაციის არსებობა კი რა უჯდებათ სახელმწიფოებს, ეს, თავის მხრივ, საინტერესო და შესასწავლია.




რუსეთი ათეული წლებია ჩეჩენი ხალხის გენოციდს ეწევა. დღესაც ასობით ჩეჩენ პატრიოტს, ვითომდა ტერორისტებს და ბანდიტებს საპყრობილეებში აწამებს და ხოცავს. სად არის ამ დროს გაერო? ის ხომ რუსეთის ხელმძღვანელობას (სახელდობრ, ხელმძღვანელობას. რუსი ხალხი აქ არაფერ შუაშია) მწვავე გაკიცხვის ნაცვლად, ფაქტობრივად ეპირფერება.

ასე რომ გაერო ან სულ არ არის საჭირო, ან თუ იარსებებს, იგი უნდა გაძლიერდეს ისეთი უფლება-მოვალეობათა მიკუთვნებით, რომლებიც დედამიწის ნებისმიერ წერტილში წარმოქმნილი კონფლიქტის ჩაქრობის სრულ გარანტიას მოგვცემენ.

გაეროს გადაწყვეტილება კანონი უნდა გახდეს და უსიტყვოდ სრულდებოდეს. გაეროსვე უნდა მიეცეს ურჩ სახელმწიფოთა მიმართ უმკაცრესი სანქციების მისჯის იურიდიული უფლება და პრაქტიკული განხორციელების საშუალება.

ასეთ ვითარებაში ვერავინ გაბედავდა ჩვენი პატარა ქვეყნის ესოდენ აშკარად და უსამართლოდ დაჩაგვრას, მისი ოდითგანვე კუთვნილი ტერიტორიების ოკუპაციითა და ამ ტერიტორიებზე დამოუკიდებელი ქვეყნების შექმნის მცდელობით.

რა, ძნელი დასანახია, რომ ამ ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთი ისეთ მძლავრ სახმელეთო და საზღვაო სამხედრო ბაზებს აშენებს, რომლებიც სულ მალე შეუქმნიან საფრთხეს არა მარტო კავკასიის სამხრეთით მდებარე, არამედ ევროპის დიდ სახელწიფოთა ინტერესებს. უფრო მეტიც, ეს საფრთხე უვნებლად არ დატოვებს არც მშვიდობის საკითხს რეგიონში.

გაერო კი გულხელდაკრეფილი ელოდება ახალი ფაშიზმისა და ჰიტლერიზმის აღორძინება-გაძლიერებას და მისგან გამომდინარე უსაშინლესი შედეგების ამოქმედებას.

დრო აღარ ითმენს. საჭიროა დაუყოვნებლივ გადაიხედოს გაეროს დებულება, მისი სტრუქტურა, უფლება-მოვალეობანი და, თუ გნებავთ, ხელმძღვანელობის შემადგენლობაც, რათა გვქონდეს საქმიანი, ავტორიტეტიანი და ზემტკიცე საერთაშორისო ორგანიზაცია – მშვიდობის დარაჯი, რომელიც შიშის ზარს დასცემს მშვიდობის დარღვევის მცირე მცდელობასაც კი მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში.

მხოლოდ ეს იხსნის მსოფლიოს მოსალოდნელი კატაკლიზმებისგან. ზემოთ ნათქვამი ჩემი სუბიექტური აზრიდან გამომდინარეობს. თუ ვინმე გაეროში სხვა რამე სარგებლობას ხედავს, მზად ვარ მოვუსმინო.

პატივისცემით
თქვენი გაზეთის მკითხველი

**რევაზ ტყემალაძე,**
საქართველოს დამსახურებული მშენებელი

**წინადადება**

# ჩვენც ვიამაყოთ ჩვენი კულტურით!

მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეების დასაწყისში საქართველოს კიდევ ერთხელ გადაუარა ქარტეხილებმა. ქართული სული ვერ ჩაეტია არტახებში და აზოზოქრდა. აზოზოქრდა, რადგან, ურყვნიდნენ მიწას, ურყვნიდნენ მამულს, ურყვნიდნენ სარწმუნოებას და ენას, ენას ტკბილქართულს! ერთ მშვენიერ დღეს ენის დასაცავად აღსდგა ყოველი ქართველი. ამ დღისთვის ღირდაო სიცოცხლე, მითხრა მაშინ ცნობილმა ჟურნალისტმა და ერისკაცმა მერაბ ბერაძემ და ასიათასობით ქართველთან ერთად მუხლებზე ვიდექით ქაშვეთის წინ. მაგრამ ეს იყო და ეს, მას მერე დავიწყების ფერფლმა დაფარა ჩვენი სიამაყე! აირია ქვეყანა, ქართველი ქართველს მოეკიდა მტრად! ათასმა ტვინნაღრძობმა, ბანდიტმა და ოხერმა აიღო ხელში სადავე და ქვეყანა ფირალ-ყაჩაღთა საჯიჯგნი გახდა. მართალია, ქართველებს ბევრჯერ უნახავთ ასეთი დღეები, მაგრამ ძმის მკვლელ ძმას ნაკლებად ედგა ტაბაკი იბერთა ქვეყანაში და თუ, მაინც, ზოგჯერ, „ზეიმობდა“ ტარტაროზი, ერთიანი საქართველოს ერთიანი სული, ერთიანი სარწმუნოება და ერთიანი ტკბილქართული ენა ყოველთვის რაზმავდა მათ სამშობლოსათვის, მამულისათვის! და მიუხედავად ასეთი მადლიანი გაკვეთილებისა, ბოლოდროს დატრიალებულმა ბინძურმა პოლიტიკანობამ საბოლოოდ დაგვავიწყა მთავარი – ენა ქართული!

ესაა, რომ მიკლავს გულს!

ამ ბოლო ხანებში გაჩნდა ათეულობით „ქვეყნის ამშენებელი“ პოლიტიკური პარტია – „ნაცები“, „სოცები“, „დემოკრატები“, „ლეიბორისტები“ და ა.შ., ვითომ „საზოგადოებრივი“ ორგანიზაციები, „ფორმალები“ და „არაფორმალები“, „ოპოზიციები“ და „პოზიციები“, „ნატოელები“ და „კატოელები“, ვითომ ქართველები, მაგრამ არავის გახსენებია ენა ჩვენი ქართული! გალაღდნენ, მოუნდათ სხვათა ენაზე „ღადავი“, გააუქმეს ქართული ენის ერთადერთი მოამაგე – ენის სახელმწიფო პალატა და დატოვეს ქართული ენა პირში ჩალაგამოვლებული. მოისპო საგაზეთო თუ სატელევიზიო რედაქციებში ენის სიწმინდის დამცველ სტილისტ-სპეციალისტთა ინსტიტუტი და გაივსო ქართული „ცნობიერება“ არაქართული ელემენტებით! და თუ, ერთიორი მამულიშვილი ამოიკვნესებს, ყურადღებას არავინ აქცევს მათ. უპატიობის ჩრდილში მოექცა ქართული ენა!!

არადა, ჯერკიდევ 1990 წელს, შესანიშნავი ქართველი მეცნიერი, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე წერდა:



„ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობა შემოღებულ იქნა საქართველოში ქართლის მონათვლისა და გაქრისტიანებასთან დაკავშირებით. ქრისტიანული რწმენა იმხანად, როგორც მშობლიური ენა და კულტურა დღეს, იყო ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი ეროვნული თვითდამკვიდრებისა. სარწმუნოება იმ ეპოქაში, და განსაკუთრებით, აღმოსავლურ-ქრისტიანული სარწმუნოება თავისი მოწამეობრივი იდეოლოგიით, თავისი ეროვნული ენითა და ორთოგრაფიული დამწერლობით, ხდება მძლავრი ფაქტორი ეთნიკური და ეროვნული ერთიანობის შექმნისა, რასაც არაერთგზის გადაურჩენია ქართველობა თავისი ისტორიული არსებობის მანძილზე სრული ეროვნული განადგურებისაგან!

აღმოსავლეთ სლავებმა და მთელმა ქრისტიანულმა სამყარომ დიდი ზეიმით აღნიშნა ძველი სლავური დამწერლობისა და ქრისტიანული სლავური კულტურის ათასი წლისთავი. ჩვენ, ქართველობას, გვმართებს საზეიმოდ აღვნიშნოთ ძველი ქართული დამწერლობისა და ადრექრისტიანული ქართული კულტურის შექმნის საიუბილეო თარიღი. ეს იქნება დიდმნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა და ზეიმი მთელი ცივილიზებული ქრისტიანული სამყაროსთვის დასავლეთსა თუ აღმოსავლეთში!“ (თამაზ გამყრელიძე, „წერის ალბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა“. ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა. თბილისი, 1990 წ. გვ. 206.).

ჩემი მხარდაჭერა რა სათქმელია, მაგრამ კარგი იქნებოდა, აკადემიკოსის ამ მადლიანი წინადადებისთვის მიეგდო ყური მთელს ქართველ ხალხს! ეს სურვილი განსაკუთრებით გამიმძაფრდა მას შემდეგ, რაც ჩემმა ქალიშვილმა ია ფიფიამ, აშშ-ს ქალაქ სენტ-ლუისიდან ერთი პატარა ინტერნეტ წერილი და ფოტო გამომიგზავნა.

„მამა! მე აქ, საქართველო აღმოვაჩინე!... გიგზავნი ფოტოს!... ვიცი, გაგიხარდება!...“

ია ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი გახლავთ და სამეცნიერო გრანტის ფარგლებში იყო მივლინებული ქ. სენტ-ლუისის ცნობილ ვაშინგტონის უნივერსიტეტში. სწორედ აქ, ამ უნივერსიტეტის მთავარი ბიბლიოთეკის შესასვლელის ცენტრში, მსოფლიოს სხვა დამწერლობათა შორის, მარმარილოს ფილაზე „აღმოაჩინა“ მან თავისი საქართველო!... თუ, საჭიროდ ჩათვლის, ალბათ, თვითონ გამოაქვეყნებს ნარკვევს თუ ჩანახატს ამ თემაზე, მაგრამ მანამდე მე უკვე თვალწინ ამესვეტა ბეთლემი და ბოლნისი, სინური მრავალთავი და ვანისა და ადიშის ოთხთავები, ოშკი და იშხანი, ოთხთა და პარხალი, ხახული და ხანძთა, იქ ნაძერწი ქართული ანბანი და ქართულად აჟღერებული წინადადებათა ფრაგმენტები, და მომინდა კიდევ ერთხელ გადამეკითხა აკადემიკოსის ნაფიქრალი!

„ჩვენც, ქართველებს, გვმართებს, საზეიმოდ აღვნიშნით ძველი ქართული დამწერლობისა და ადრექრისტიანული ქართული კულტურის შექმნის საიუბილეო თარიღი!“

დიახაც! იქნებ ასეთი ზეიმის ტრადიციად ქცევა სჯობდეს ათასგვარ, ვითომდა, „სახელმწიფოებრივი“ მნიშვნელობის ტაკიმასხარაობაზე და მაშხალების სროლაზე მილიონების ხარჯვას!

მით უფრო, რომ, ოკეანის გაღმაც და გამოღმაც, ერთი-ორგან, სხვაგანაც მეგულება „წერტილი“, სადაც სათანადო პატივს მიაგებენ ჩვენს ენასა და დამწერლობას, როგორც ერთ-ერთ თოთხმეტთაგანს და უძველესს!

ჩვენც გვაქვს საფუძველი ვიამაყოთ ჩვენი კულტურით!

**ზაურ ფიფია.**

**წერილი რედაქციას**

# მხოლოდ სიმართლეა ქვეყნის გადამრჩენი

**ჩემმა ხანდაზმულობამ, 90 წლისა გახლავართ, ცხოვრებაში ბევრი რამ დამანახა, ბევრი კი წაკითხულიდან შემომრჩა, მინდა მკითხველს გავუზიარო ჩემი მოსაზრება განათლების დარგში მიმდინარე რეფორმებზე.**

58 წელი ვმუშაობდი მასწავლებლად, და ბუნებრივია, საკმაო გამოცდილება მაქვს. ვარ ცოცხალი მოწმე ამ დარგში გატარებული რეფორმებისა. დღევანდელობას თუ შევუდარებთ, ვნახავთ, რომ საკმაოდ განსხვავებულია. დღევანდელ სკოლებში არც ისე იშვიათია ბავშვებს შორის ძალადობა, ფიზიკური შეურაცხყოფა და სხვა. სად უნდა ვეძიოთ ამის მიზეზი? ამაზე სრული პასუხის გაცემა შორს წაგვიყვანს, მთავარი მაინც ისაა, რომ:

1ძ შეიცვალა ქართული საზოგადოება, ოჯახი, ოჯახი და სკოლა ხომ ერთი საზოგადოებრივი ორგანიზმია, ოჯახში თუ არ მოხდა ბავშვის სწორი აღზრდა და სკოლების მაღალი დონის მასწავლებლებით დაკომპლექტება, ყველაფერი აისახება მოსწავლეთა ქცევებში. აი რას გვთავაზობს ჰეგელი: „ბავშვის აღზრდის პირველ ხანაში ყველაზე მნიშვნელოვანი დედაა, რადგან მან უნდა ჩაუნერგოს ბავშვს ზნეობა, როგორც გრძნობა“. ჩემი აზრით, ასეთი დედები სადღეისოდ იშვიათია, ხოლო „ბავშვის ცუდი აღზრდა ეს დანაშაულია თითოეული ადამიანისა და ქვეყნის წინაშე“, „წესიერი აღზრდა ესაა ჩვენი ბედნიერი სიბერე, ცუდი აღზრდა ჩვენი მომავალი მწუხარებაა, ჩვენი ცრემლებია, ჩვენი დანაშაულია სხვა ადამიანთა, მთელი ქვეყნის წინაშე“ – გვასწავლის შექსპირი. არადა აღზრდაზე ზრუნვამ სადღეისოდ ფასი დაკარგა, ამიტომ სკოლებში ბავშვებს შორის სიძულვილმა და მტრობამ დაისადგურა;

2ძ დღევანდელი ოჯახები უმეტესწილად მხოლოდ და მხოლოდ გამდიდრებაზე ფიქრობენ, უნდათ ბევრი სიმდიდრე დაუტოვონ თავიანთ შვილებს, მე მინდა მათ ვუთხრა: ზედმეტ სიმდიდრეს და ფუფუნებას მოაქვს გარყვნილობა და უზნეობა;

3ძ სკოლებში კორუფცია იშვიათი როდია, ზოგიერთი მასწავლებელი ბავშვს ნიშანს არ უწერს და აიძულებს მოემზადოს მასთან, რაც ბავშვზე დიდ გავლენას ახდენს. და იწვევს სიძულვილს და უკმაყოფილებას;

4ძ ხშირ შემთხვევაში სკოლები მიტოვებულია დირექტორების სინდისის ანაბარად ყოველგვარი კონტროლის გარეშე.

რაც შეეხება მანდატურებს. ჩემი აზრით, ეს აშკარად მცდარი გადაწყვეტილებაა, ბავშვის აღზრდაზე ოჯახში პასუხისმგებლობა უნდა აიღოს უპირველესად ბავშვის დედამ, ხოლო სკოლაში სკოლის დირექტორმა მთელი კოლექტივით, სკოლაში მომუშავენი უნდა იყვნენ უმაღლესი ზნეობის ადამიანები, სამართლიანები და კეთილები, რაც მთავარია, მისაბაძი პიროვნებები. სკოლაში არ ყავდათ მანდატურები აკაკის, ილიას, ვაჟას და სხვებსა და სხვებს, მაგრამ მათი დედების დამსახურებამ, მაშინდელმა მასწავლებლების სამართლიანობამ აღზარდა უჭკვიანესი ადამიანები და პატრიოტები. კარგი ოჯახის შვილი არ შეიძლება ცუდი ყოფაქცევის იყოს, თუმცა გამონაკლისი ყველა საქმეს ახლავს.

ყველა გადაწყვეტილება გამოცდილებას უნდა ემყარებოდეს და არა პიროვნებათა მოსაზრებებს. ბრძენს უთქვამს, „ჭაბუკის გაბედულობა და მოხუცებულთა სიბრძნე – აი რა არის მსოფლიოს გამარჯვების სათავეო“. სადღეისოდ ეს ყველაფერი გადაფასებულია.

და ბოლოს: გამდიდრებაზე ზრუნვა უკანა პლანზე გადავწიოთ და ვიზრუნოთ ჩვენს მომავალზე, რომელსაც ახალგაზრდა თაობის აღზრდა ჰქვია.

**კირილე ლაგვილავა,**
ხობი, სოფელი ქვემო ქვალონი

◎ აქტუალური ინტერვიუ

(მეოთხე გვერდიდან)

**— ბატონო სოსო, თუ შეიძლება, ასე დავსვამ კითხვას — რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების აღდგენაზე მსჯელობისას თუ არის შესაძლებელი იმის განსაზღვრა, სად გადის ქართული მხარის კომპრომისების ზღვარი, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, რა შეიძლება და რა არ შეიძლება? არავინ დავობს, რომ რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენა საქართველოსთვის ცუდი ნამდვილად არ იქნებოდა, მაგრამ თბილისის მხრიდან მოსკოვთან ურთიერთობების აღდგენის მზაობას ხომ არ განიხილავს კრემლი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ წარმოქმნილ რეალობასთან შეგუებისკენ გადადგმულ ნაბიჯად?**

და კიდევ, თუ ვინიცობაა და თბილისი რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე წავიდა, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხში ქართული მხარის პრინციპული პოზიცია როგორ უნდა დაფიქსირდეს?

— წარმატებული შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი საგარეო-პოლიტიკური კურსი, რომელშიც გათვითცნობიერებულია საზოგადოება და მხარს უჭერს. თუ ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ კურსს აკადემიური წრეები და პოლიტიკური კლასი მხარს არ უჭერენ და არ იცნობენ, ის წარმატებული ვერ იქნება. მე ვხედავ საფრთხეს, რომ ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტრო, ცოტა არ იყოს, კასტურ ორგანიზაციად იქცევა. იგივე მინისტრი ვაშაძე საზოგადოების წინაშე არ გამოსულა და არ უთქვამს, რომ თბილისი რუსეთთან მიმართებაში რაღაც საკითხებში კომპრომისისთვის მზად არის, მაგრამ რიგ საკითხებში ბოლომდე პრინციპულ პოზიციას შეინარჩუნებს. მხოლოდ იმაზე საუბარი, რომ ჩვენ რუსეთთან დიალოგისთვის მზადყოფნას გამოვთქვამთ, საკმარისი არ არის. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რისი დათმობა შეგვიძლია და რისი — არა. ამაზე კი ღია მსჯელობა არ მიმდინარეობს. არადა, კომპრომისების გარეშე ნორმალური ურთიერთობების აღდგენა წარმოუდგენელია. ამაზე მსჯელობა არ უნდა იყოს მხოლოდ ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში; ამ თემაზე იმ ადამიანებმა უნდა ისაუბრონ, ვინც რუსეთის თემა კარგად იცის და ექსპერტი გუშინ არ გამხდარა. ამ თემაზე იმათ უნდა ისაუბრონ, ვისაც ერთი წიგნი თუ არა, ერთი-ორი ღირებული მეცნიერული სტატია მაინც აქვს დაწერილი.

**— ექსპერტთა საკმაოდ დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს მდგომარეობა მთლიანად იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად რეალისტურად გაიაზრებს დასავლეთი რუსეთში მიმდინარე პროცესებს და როგორ აისახება დასავლეთის მხრიდან რუსეთში მიმდინარე პროცესების რეალისტური აღქმა ქართულ-რუსულ მოლაპარაკებებზე...**

— დასავლეთის მხრიდან რუსეთში მიმდინარე პროცესების ადეკვატურობას მე ვერ ვხედავ. თომას მანს ერთი ამერიკელი დიპლომატი ამშვიდებდა, — თქვენ, ევროპელები პესიმიზმისკენ რომ გადაიხრებით და ცუდ ხასიათზე იქნებით, გაიხსენეთ, რომ აშშ თქვენს გვერდით დგასო. ამაზე, თომას მანმა უპასუხა — ჩვენ პესიმისტები და ცუდ ხასიათზე მაშინ ვხდებით, როცა ვხვდებით, რომ ამერიკა ჩვენს გვერდით არ დგასო.

როდესაც კისინჯერის კონსალტინგური კომპანიის ექსპერტის დასკვნა წავიკითხე, სადაც საუბარია, რომ საქართველოს არავინ არ გააფუჭებინებს რუსეთთან წამოწყებულ თამაშს და ჩვენ საქართველოს ვაიძულებთ, თანხმობა განაცხადოს რუსეთის მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრებაზე, მსგავსი განცხადებები ოპტიმისტურ განწყობაზე ყოფნის საფუძველს არ ტოვებს.

მესმის, აშშ-მა 17 წელი იწვალა, რომ რუსეთი როგორმე შეეთრიათ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში და რუსეთიც მიდის გარკვეულ დათმობებზე; აშშ-იც თავის მხრივ მზად არის, გადახედოს სსრკ-სთან მიმართებაში ჯექსონ-ვენიკის ინიციატივით სენატის მიერ 1974 წელს მიღებულ კანონს. ამ კანონით, მოსკოვს ყოველწლიურად ისრაელში 60 ათასი ებრაელის გაშვება ევალებოდა და სსრკ-ს აშშ-სთან უპირატესი ვაჭრობის რეჟიმი ექნებოდა, მაგრამ, მაშინ სსრკ-მა ამაზე უარი თქვა.

როგორი იქნება 2011 წელი. ჩვენ თუ რუსეთის სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრებაზე თანხმობის მიცემა გვაიძულეს, უნდა ვიცოდეთ, რას მივიღებთ სანაცვლოდ. მხოლოდ ცალმხრივი დათმობები დაუშვებელია. პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ საქართველო აშშ-საგან ჯერჯერობით მხოლოდ დაპირებებს იღებს. ეს ეხება იმას, რომ საქართველოს ნატოში ადრე თუ გვიან მიიღებენ. 2008 წელს მიღებულმა 4-მილიარდიანმა დახმარებამ ფინანსური კრიზისი კი გადაგვატანინა, მაგრამ მეორე მხრივ, ჩვენ გარანტირებული არა ვართ, რომ პუტინს კიდევ რამე მოუვლის და რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ ახალ ომს არ დაიწყებს. ასეთ სიტუაციაში რა იქნება - ისევ ის, რაც იყო?

ევროპას ჩვენთვის მოსაცემი ფული აღარ აქვს. ევროპამ და ნატომ რუსეთთან ურთიერთობები უკვე მოსკოვს „მისტრალი“ მიჰყიდა, ბერლინი და რომი რუსეთთან წარმატებით თანამშრომლობენ, დასავლეთი რუსეთში დემოკრატიის არარსებობაზე აშკარად თვალს ხუჭავს.

**ასეთ ფონზე, ხშირად გამოითქმის აზრი, რომ დასავლეთმა საქართველოსთან მიმართებაში თითქოს „ხელები დაიბანა“ და საქართველოსადმი მისი მხარდაჭერა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს. თქვენი აზრით, რამდენად მართებულია ამგვარი მტკიცება?**

— არა, „ხელები არ დაუბანია“. დასავლეთისთვის საქართველო კვლავ სტრატეგიულ რეგიონად რჩება. თუ ბუშის დროს წინა პლანზე საქართველო, კავკასია და დემოკრატიის გავრცელება იყო მთავარი, ახლა აშშ-სა და დასავლეთისათვის პრიორიტეტი რუსეთთან ურთიერთობების აღდგენაა. ჩვენ გვეუბნებიან, რომ დასავლეთისათვის რუსეთთან ურთიერთობა ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ არა - თქვენს ხარჯზე. ჩვენ დასავლეთ-რუსეთის ურთიერთობის მაჯისცემაზე ხელი უნდა გვედოს და ვაკვირდებოდეთ, ჩვენს ხარჯზე ხომ არ ხდება მათ შორის ურთიერთობების დათბობა.

ძალიან ცუდად მეჩვენა ჟენევის კონსულტაციების მე-14 რაუნდის დასრულების შემდეგ გაეროსა და ევროკავშირის წარმომადგენლების მისამართით გამოთქმული გიგა ბოკერიას ღია საყვედური. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ბოკერიას საყვედურზე დასავლეთმა იგნორირება გააკეთა. მე არსად და არავისაგან არ მსმენია, რომ ბოკერიას განცხადება ვთქვათ, გადაჭარბებულად კრიტიკული იყო, საქართველო დასავლეთისთვის მნიშვნელოვანია და დასავლეთი თბილისისათვის მნიშვნელოვან საკითხებში პრინციპული იქნება.

ჟენევის ბოლო კონსულტაციებზე მიღებულ კომუნიკეში მთავარი ის იყო, რასაც ყურადღება არავინ მიაქცია და იგი ჩვენთვის ძალიან ცუდია. მასში სიტყვა-სიტყვით წერია — მხარეები შეთანხმდნენ, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებასთან დაკავშირებით და ახალი რეალობის შესახებ რუსეთის მოთხოვნების დაკმაყოფილების გარეშე, სამშვიდობო პროცესის წინსვლა შეუძლებელია. ეს ნიშნავს, თითქოს ჩვენ დავთანხმდით, რომ ჩვენი მხრიდან სოხუმისა და ცხინვალის აღიარების გარეშე შეუძლებელია აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში სამშვიდობო პროცესის წინსვლა.

ჟენევაში გამართული კონსულტაციები მანამდეც უშედეგოდ სრულდებოდა, მაგრამ გიგა ბოკერიას გაეროსა და ევროკავშირის მისამართით ღია პრეტენზია მანამდე არ გამოუთქვამს. როგორც ჩანს, ჩვენგან ღიად თუ შეფარვით, სოხუმისა და ცხინვალის დამოუკიდებლობის აღიარებას ითხოვენ. ამ თემაზე ჩვენთან არავინ საუბრობს და ისე იქცევიან, როგორც — პარტიზანი დაკითხვაზე. ის რომ, ამ თემაზე საგარეო სამინისტროს რამე განცხადება არ გაუკეთებია, ძალიან ცუდად მეჩვენა.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჩვენ დასავლეთს რუსეთთან ურთიერთობების მოგვარებაში მართლაც რაღაც თამაშს ვუფუჭებთ. დასავლეთის სტრატეგიული შეცდომა ის გახლავთ, რომ კიდევ ჰგონიათ, თითქოს მედვედევი პუტინისგან განსხვავდება. მედვედევი რუსეთის პრეზიდენტი 2012 წელს ხელმეორედ გახდება. დასავლეთისთვის, ალბათ, მედვედევი სჯობია, მაგრამ ასე იქნება კი?

თვით ბჟეზინსკიმაც კი, რომელიც პოლონელი არისტოკრატია და რუსეთმა აქცია აშშ-ში ლტოლვილად, მიუნხენის კონფერენციაზე მედვედევს ასეთი რამ უთხრა — თქვენით აღფრთოვანებულია მთელი ამერიკა. ხოდორკოვსკის სასამართლოზე ყველაფერი გაირკვა. მედვედევის განცხადებების მიუხედავად, ხოდორკოვსკის მაინც უკანონო განაჩენი გამოუტანეს.

ყველაფრის მიუხედავად, ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ დასავლეთმა საქართველოსთან მიმართებაში „ხელები დაიბანა“. უბრალოდ, საქმე იმაშია, რომ ახლა მთავარი რუსეთთან ურთიერთობების მოგვარების თემაა. ჩვენ კი გვეუბნებიან, რომ დასავლეთ-რუსეთს შორის ურთიერთობების გაუმჯობესება საქართველოს ხარჯზე არ მოხდება, მაგრამ კონკრეტულად რას ნიშნავს ეს, ჯერჯერობით გაურკვეველი რჩება.




პრეზიდენტმა ობამამ მთელი თავისი საგარეო პოლიტიკის განხორციელებისას ყველა კვერცხი ერთ კალათაში ჩადო, რაც რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას ითვალისწინებს. ამიტომ, სწორი არიან აშშ-ში საღად მოაზროვნე რეალისტები, რომლებსაც აშშ-ში პესიმისტებს უწოდებენ. მათი აზრით, დეკემბერში სენატის მიერ რუსეთთან სტრატეგიული იარაღის შემცირების ხელშეკრულების რატიფიცირება წამგებიანია. რუსეთი თავის სტრატეგიულ რაკეტებს იმის გამო მაინც შეამცირებდა, რომ მათი შენახვის ფული არა აქვს. რუსეთს ამ იარაღზე აშშ-სთან პარიტეტი უნდა ჰქონდეს, მაშინ როცა ჩინეთისა და ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პოტენციალი იზრდება და ისინი არც ერთ ხელშეკრულებას არ ემორჩილებიან. და ეს მაშინ, როცა ბირთვული იარაღი დღეს თუ არა ხვალ, ირანსაც ექნება.

მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს პროგნოზი იმის თაობაზე, რომ 2011 წელს აშშ-ის ეკონომიკა კრიზისიდან გამოვა. ამერიკის ეკონომიკა ჩინეთის ეკონომიკაზე სამჯერ მეტია. ამიტომ, მსოფლიო დღეს მაინც ერთპოლუსიანია. მრავალპოლუსიან მსოფლიოზე საუბარი ზღაპარია, თუნდაც იმიტომ, რომ დღეს აშშ-ის სამხედრო პოტენციალი და ეკონომიკა მთელი ევროპისა და ჩინეთის პოტენციალზე ორჯერ მეტია.

ახლა ძალიან მნიშვნელოვანია, თუ აღადგინეს. შექმნილი ვითარების არსი ასეთია, რა თქმა უნდა, თუ ის გაამართლებს: დასავლეთი ჩვენ გვეუბნება — მე რუსეთს თანამშრომლობაში ჩავითრევ და მერე უფრო მეტი ბერკეტი მექნება რუსეთზე ზემოქმედების. ახლა საინტერესოა, აშშ-რუსეთისა და დასავლეთ-რუსეთის ურთიერთობებში ვის ექნება მეტი ბერკეტი? ევროპასა და ამერიკას რუსეთზე, თუ რუსეთს - ორივეზე? ეს რომ გაირკვევა, მერე შეიძლება საუბარი, თუ რა შეიძლება იყოს შემდგომ, ანუ უახლოეს მომავალში.

**— ბატონო სოსო, მას შემდეგ, რაც კრემლმა პრაქტიკულად უპასუხოდ დატოვა პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ ევროპარლამენტში გაკეთებული განცხადება მოსკოვთან დიალოგის დაწყების შესახებ, ჩვენ ამ თემაზე არც ბრიუსელის, არც აშშ-ის და სხვათა შორის, არც იმავე ევროპარლამენტის გაცხადებული რეაქცია არ მოგვისმენია. სამწუხაროდ, ჟენევის ბოლო კონსულტაციებიდან დაბრუნებულ უშიშროების საბჭოს მდივანს გიგა ბოკერიას ევროკავშირისა და გაეროს საგანგებო წარმომადგენლების „არასაკმარისად მტკიცე პოზიციების გამო“ უკმაყოფილების გამოთქმა მოუწია. პარალელურად, „რესპუბლიკელი“ კონგრესმენების წინააღმდეგობის მიუხედავად, აშშ-ის კონგრესმა სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირების ხელშეკრულების რატიფიცირებით მოსკოვისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა. პარიზმა**

დასავლეთი დღეს რუსეთზე ნებისმიერ რეალურ ზეწოლას გამორიცხავს. მხედველობაში არა მაქვს დოკუმენტებში ჩაწერილი ფრაზები, რომელიც რუსეთზე არანაირად არ მოქმედებს. რუსეთს დასავლეთის კრიტიკაზე და აზრზე 300 წელია, აქვს იმუნიტეტი გამომუშავებული. როცა მედვედევს ინდოეთში ვიზიტისას „ვიკილიქსთან“ დაკავშირებით კითხვა დაუსვეს, მან პირდაპირ განაცხადა — „мне плевать, что думают и говорят о нас на Западе. это всего лишь мнение“.

რუსეთის პრეზიდენტი რომ ამას იტყვის, ამის მერე, ბრმა და ყრუ უნდა იყო, რომ არ დაინახო, — რუსეთი დემოკრატიისკენ არ მიდის და დასავლეთის რჩევებს დემონსტრაციულად არ ითვალისწინებს.

ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ჩვენი პრობლემა იმაშია, რომ ჩვენთან რუსეთთან დიალოგის დაწყებისა და ურთიერთობების აღდგენის თემაზე ღია მსჯელობა არ მიმდინარეობს. ამ თემებზე საჯარო დისკუსია და მსჯელობა ტელევიზიებში ტელეშოუებში უნდა იყოს. ამ თემებზე ჩვენთან საზოგადოება „რუსთავი-2“-ზე, „იმედსა“ და ასევე „კავკასიაზე“ მხოლოდ ცალმხრივ მსჯელობას ისმენს. ამ დროს კი, სიმართლე სადღაც შუაშია.

**კობა ბენდელიანი**

◎ ინფორმაცია

## გუდაურსა და გომბორს თოვლმა შეუტია

**გაუარესებული** კლიმატური პირობების გამო ვაზიანი-გომბორი-თელავის საავტომობილო გზის 36-ე და 46-ე კილომეტრებზე მოძრაობა შეზღუდულია.

როგორც საავტომობილო გზების დეპარტამენტიდან იტყობინებიან გზის ამ მონაკვეთზე აკრძალულია მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანი ავტომობილების, ასევე 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა. სხვა სახის ტრანსპორტის მოძრაობა კი დასაშვებია მხოლოდ მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით.

მსგავსი შეზღუდვებია კობი-გუდაურის საავტომობილო გზის მონაკვეთზე და გომბორის უღელტეხილზე.

საავტომობილო გზების დეპარტამენტში აცხადებენ, რომ გზის აღნიშნულ მონაკვეთებზე თოვლის გაწმენდითი სამუშაოები ჯერჯერობით არ მიმდინარეობს, რადგან თოვლს, ამ ეტაპზე გზის სრული პარალიზება არ გამოუწვევია.

მედიანიუსი



რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველო შეცდომებზე არ სწავლობს

**2011 წელს საქართველოს საგარეო პოლიტიკა არ შეიცვლება – მისი მიზანი იქნება ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია და „დეოკუპაცია". როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ განაცხადა, იგი ვერ მოისვენებს, სანამ საქართველოში დარჩება თუნდაც ერთი რუსი ჯარისკაცი.**

სხვათა შორის, „კვირის პალიტრისთვის" მიცემულ ინტერვიუში მინისტრმა განაცხადა, „ჩვენ ახლა მართლაც უკეთ ვართ, ვინაიდან რუსეთის აგრესია შეჩერებულია". მისი სიტყვებით, მას სურს, რომ საქართველო იყოს დაბალანსებული საგარეო პოლიტიკის ქვეყანა და ჰქონდეს კარგი ურთიერთობანი ყველა მეზობელთან.

საქართველოს მეზობელთა შორის არის რუსეთიც, და როგორც მინისტრს მიაჩნია, უდიპლომატოდ მასთან არაფერი გამოვა. „როდესაც პრეზიდენტი ამბობს, რომ მზად ვართ ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილას ვესაუბროთ რუსეთს ჩვენს შორის არსებულ ყველა პრობლემაზე, ეს ნიშნავს, რომ, უწინარეს ყოვლისა, საუბარი იქნება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე, მის სრულ და უსიტყვო დეოკუპაციაზე, ლტოლვილების დაბრუნებაზე", – განმარტა ვაშაძემ.

მისი სიტყვებით, საქართველოს ტერიტორიაზე არასოდეს იქნება რუსეთის ფედერაციის სამი საელჩო. „ნუ იფიქრებთ, რომ ვინმე ამ პრობლემების გარეშე დაიწყებს საუბარს რუსეთთან სხვა პრობლემებზე, ზოგიერთი მარგინალის გამოკლებით", – განაცხადა მან.

ამ დროს ჯერ კიდევ შარშან ივლისში რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა აფხაზეთის პრეზიდენტ სერგეი ბაღაფშთან შეხვედრისას განაცხადა, რომ საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მოქმედებამ უნდა მიიღოს „ადეკვატური იურიდიული შეფასება".

„სამწუხაროდ, ამ მოქმედებათა შედეგად (საქართველოს აგრესია სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ 2008 წელსძ, რომლებიც განხორციელდა, დაიღვარა სისხლი, დაიღუპა ხალხი და ეს ყოველგვარი, ეჭვგარეშეა არის დანაშაული, რომელმაც უნდა მიიღოს თავისი ადეკვატური იურიდიული შეფასება, ვინაიდან ამ მოვლენათა პოლიტიკური შეფასება უზარმაზარი რაოდენობის პატიოსანი, წესიერი ხალხისთვის – უკვე დღეს ერთმნიშვნელოვანია", – განაცხადა მან.

ამავე დროს მედვედევი დარწმუნებულია, რომ „ადრე თუ გვიან ჩვენ დავუბრუნდებით ნორმალურ სრულფასოვან ურთიერთობებს საქართველოსთან". „სხვაგვარად არ შეიძლება", – თქვა მან. „ჩვენ ყოველთვის გვქონდა და, დარწმუნებული ვარ, კვლავაც გვექნება ყველაზე მეგობრული ურთიერთობანი ქართველ ხალხთან", – აღნიშნა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა.

იმის შესახებ, რომ რუსეთი მზად არის კონტაქტებისთვის ქართველ ხალხთან, ამას წინათ განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმაც. „ჩვენ გვესმის, რომ ქართველი ხალხი – ეს მეგობარი ხალხია, რომ საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობა ასევე ეპყრობა რუს ხალხს. და ჩვენ მზად ვართ კონტაქტებისთვის, რომლებიც საშუალებას მისცემს ხალხს იგრძნონ რაიმე შემსუბუქება", – განაცხადა ლავროვმა.

„ეს შეეხება პირდაპირ ავიამიმოსვლას და ზემო ლარსის გადასასვლელის გახსნას, რომელიც რემონტის შემდეგ შეუდგა ფუნქციონირებას. ჩვენ გვინდა და მზად ვართ მოვიქცეთ ასევე, რათა მოვხსნათ ის ბარიერები, რომლებიც ჩვენი ხალხების ურთიერთობას უქმნიან დაბრკოლებებს", – აღნიშნა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა.

რაც შეეხება „ოკუპაციას", შეგახსენებთ, რომ 2010 წლის 5 მაისს ევროსაბჭოს სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტის ვითარებათა კვლევის კომისიის თავმჯდომარემ ჰაიდი ტალიავინიმ, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ჰელსინკის კომისიის მოსმენაზე გამოდიოდა, განაცხადა, რომ სამხედრო მოქმედებანი სამხრეთ ოსეთში 2008 წლის აგვისტოში საქართველომ დაიწყო.

„მისიის თვალსაზრისით, სწორედ საქართველომ დაიწყო სამხედრო მოქმედებანი სამხრეთ ოსეთში, როდესაც შეუტია ცხინვალს მძიმე არტილერიის გამოყენებით, 2008 წლის 7 აგვისტოს ღამით, – განაცხადა მან. – არანაირი განმარტება, რასაც საქართველოს ხელისუფლება იძლეოდა, რათა გაემართლებინა თავისი თავდასხმა, არ იყო დასაბუთებული". კერძოდ, „არ ყოფილა არანაირი მასირებული შეჭრა რუსეთის სამხედროებისა" კონფლიქტის გაღვივებისთვის.

მაგრამ, ამასთან ერთად, ევროკავშირის მისიის ხელმძღვანელმა შენიშნა, რომ „საქართველოს თავდასხმა ცხინვალზე არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც იზოლირებული აქტი, რომ ეს იყო თვეებისა და წლების განმავლობაში დაძაბულობის გაღვივების კულმინაცია".

20 მაისს ევროპარლამენტმა მხარი დაუჭირა ევროკავშირის დამოუკიდებელი კომისიის დასკვნას სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის ვითარებათა გამოკვლევის საკითხში, რომლის თანახმადაც ომი სამხრეთ ოსეთში დაიწყო საქართველომ. სტრასბურგის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს პლენარულ სესიაზე მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: „ფაქტები, რომლებმაც ყოველმხრივი ასახვა ჰპოვეს ტალიავინის მოხსენებაში, შეიძლება გამოყენებულ იქნეს კერძო პირების მიერ ჰააგაში საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოში სარჩელების შეტანის დროს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვევათა გამო".

ამ დროს თბილისში მიაჩნიათ, რომ 2011 წლის საგარეოპოლიტიკურ წარმატებებს მყარი საფუძველი შეუქმნა წინა წელმა. ამ კონტექსტში ვაშაძემ ორი საკვანძო მომენტი გამოყო: ლისაბონში საქართველოს და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტების შეხვედრების შინაარსიანობა, აგრეთვე გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია, რომელიც ადასტურებს ლტოლვილთა უფლებას, დაბრუნდნენ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში.

არანაკლებ მნიშვნელოვან საფუძვლად მომავალი წარმატებებისთვის, ესე იგი, საქართველოს „დეოკუპაციისთვის", ვაშაძემ დაასახელა ის, რომ ტერმინი „ოკუპაცია" სულ უფრო მეტად მტკიცდება არა მხოლოდ მსოფლიო პოლიტიკოსების ზეპირ გამოსვლებში, არამედ სხვადასხვა ოფიციალურ დოკუმენტებშიც.

„მეტად მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკურ დასავლეთში და საერთოდ საერთაშორისო გაერთიანებაში დამკვიდრდა ტერმინები „ოკუპაცია" და „ეთნიკური წმენდა", – აღნიშნავს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი. მისი სიტყვებით, ლიტვის სეიმმა, ესტონეთის პარლამენტმა, ნატოს საპარლამენტო ასამბლეამ, ევროკავშირის სხვადასხვა სტრუქტურებმა ოფიციალურად აღიარეს საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია. მან განაცხადა, რომ საქართველო გააგრძელებს მუშაობას ამ ტერმინის ყველგან დამკვიდრებისთვის.

შარშან საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამ მიმართულებით განავითარა უპრეცედენტო დიპლომატიური აქტიურობა და ძნელად რომ იგი შესუსტდეს მიმდინარე წელს. 2010 წელს თბილისმა მიიღო გავლენიანი უცხოელი პოლიტიკოსებისა და სამხედროების უზარმაზარი რაოდენობა. თავად ვაშაძე გვიამბობს, რომ შეასრულა 37 ვიზიტი უცხოეთის ქვეყნებში, მისმა მოადგილეებმა კი – 68. 70 ქვეყანასთან საქართველომ აწარმოა ორმხრივი პოლიტიკური კონსულტაციები და დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობანი 23 ქვეყანასთან, ესე იგი მთლიანად 145 ქვეყანასთან გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შემავალი 191 ქვეყნიდან.

როგორც ვაშაძემ აღნიშნა, „ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ჩვენი მთავარი მტკივნეული საკითხია" და საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატს, ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლებს დაევალათ ყოველდღიურად იმუშაონ ამ საკითხის გადაწყვეტისთვის. „ამიტომ მინდა ვთქვა, რომ 2011 წელს ჩვენ კიდევ მეტი მუშაობა მოგვიწევს", – განაცხადა მინისტრმა.

სხვა საკითხების გარდა საკითხი შეეხება ეუთოს მისიის მუშაობის სრულუფლებიანი განახლებას საქართველოში, რაც დაბლოკილი იყო რუსეთის მიერ. რაც შეეხება ჟენევის მოლაპარაკებას, „ის აუცილებლად მიიღებს დამატებით იმპულსს მას შემდეგ, რაც საქართველოს პრეზიდენტმა გააკეთა სტრატეგიული განცხადება". მხედველობაში აქვთ საქართველოს უარი ძალის გამოყენებაზე ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის.

როგორც ვაშაძემ განმარტა, პრეზიდენტის განცხადებით საქართველომ „იკისრა იურიდიული ვალდებულება ძალის გამოუყენებლობის შესახებ, ამან გამოიწვია არა მხოლოდ დიდი გამოხმაურება, არამედ პოზიციების გადაფასებაც დასავლეთის ბევრ დედაქალაქში". კერძოდ, როგორც მინისტრი აღნიშნავს, ვაშინგტონი და ბრიუსელი უკვე რეგულარულად მოუწოდებენ რუსეთს იკისროს ანალოგიური იურიდიული ვალდებულება. „სამწუხაროდ, – თქვა მან, – რუსეთს არ ესმის ამ მომენტის მთელი მნიშვნელობა და როგორც ჩანს, ისინი არ არიან მზად სერიოზული გადაწყვეტილებების მისაღებად".

კვლავ ცხადი გახდა თბილისის მოუმზადებლობა განავითაროს კეთილმეზობლური ურთიერთობანი აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან. ამავე დროს, ჟენევაში საქართველოს დელეგაციის ინფორმაციით, რუსეთმა კვლავ ეჭვქვეშ დააყენა თავად 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმება და უარი განაცხადა საქართველოს სამშვიდობო ინიციატივების მიღებაზე.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს გარდა ქვეყნის „დეოკუპაციის" მნიშვნელოვანი ზომები მიიღო შარშან საქართველოს პარლამენტმაც.

რაც შეეხება დამოუკიდებელ ექსპერტებს, ბევრი მათგანი იზიარებს ოფიციალურ პირთა შეფასებებსა და პროგნოზებს, მაგრამ მიუთითებენ, რომ 2011 წელი დამძიმებული იქნება არა იმდენად ევროატლანტიკური ინტეგრაციის პრობლემებითა და „დეოკუპაციით", რამდენადაც 2012 წლის არჩევნებით (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ეკონომიკის, დემოკრატიისა და სოციალური უზრუნველყოფის საკითხებსძ.

სერიოზულ პოლიტიკურ გარღვევას პოზიტიური თვალსაზრისით თბილისსა და მოსკოვს შორის ურთიერთობაში, ისინი არ ელოდებიან, მაგრამ არც გამორიცხავენ საქართველო-რუსეთის ეკონომიკური კავშირურთიერთობის ნაწილობრივ აღდგენასაც. შესაბამისად, სიტუაცია აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით, არსებითაც, უცვლელი დარჩება, ესე იგი პროცესი ამ ორ რეგიონთან დაკავშირებით წარიმართება საქართველოს, მისი პარტნიორი სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების დიპლომატიური აქტიურობის დონეზე.



РОСБАЛТ

## დედამიწის ზურგზე



**წყალდიდობა ავსტრალიაში: დაიღუპა 11 კაცი, კიდევ 72 უგზოუკვლოდ დაკარგულად ითვლება**

წყლის სტიქიით მსხვერპლთა სია შეიძლება კვლავ გაიზარდოს. მდინარეთა კალაპოტიდან გადმოსვლის შემთხვევები აღინიშნა რეგიონის დედაქალაქ ბრისბენში. წინა დღით სტიქიის დარტყმა მიიღო ქალაქმა ტუვუმბამ. წყლის ნაკადებმა, რომელთა დონემაც 8 მეტრის ნიშნულს მიაღწია, მოიცვა ქალაქის ქუჩები, მათ მიაქვთ მანქანები და ფეხით მოსიარულენი.

* * *

**ყირგიზეთში შეიძლება გაჩნდეს „ვლადიმერ პუტინის პიკი"**



ყირგიზეთის პარლამენტი გადაწყვეტს, დაარქვან თუ არა ტიან-შანის უსახელო 4-ათასმეტრიან პიკს რუსეთის პრემიერის სახელი. გადაწყვეტილება მოიწონეს მთავრობამ და მოსკოვის რაიონის ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ, სადაც ეს მთა მდებარეობს. ყირგიზეთის ერთ-ერთი უმაღლესი პიკი უკვე ატარებს რუსეთის ერთი პოლიტიკოსის – რუსეთის პირველი პრეზიდენტის ბორის ელცინის სახელს.

* * *

**ნასამ მზის სისტემის მიღმა ცნობილ პლანეტებს შორის ყველაზე პატარა აღმოაჩინა**

თეორიული შეფასებებით, დღის ტემპერატურა პლანეტაზე შეიძლება აღწევდეს 1400 გრადუსს ცელსიუსით, რაც უახლოვდება წმინდა რკინის დნობის ტემპერატურას. მიუხედავად ამისა, ამ აღმოჩენის მნიშვნელობა მეტად დიდია.



* * *

**ფრინველთა მასობრივი დაღუპვის ახალი შემთხვევა: ამერიკაში აღმოაჩინეს ათობით მკვდარი შოშია**

ფრინველთა მასობრივი დაღუპვის ცნობები შემოვიდა ახალი წლის წინა დღეებში, რისი მიზეზიც გაურკვეველია. 31 დეკემბერს ამერიკის ქალაქ ბიბიში არიზონას შტატში ციდან ჩამოცვივდა დაახლოებით 3 ათასი მკვდარი ფრინველი. მოგვიანებით ანალოგიური შემთხვევები მოხდა ლუიზიანისა და კენტუკის შტატებში. ასეთივე ინციდენტი დაფიქსირდა შვედეთში, იტალიასა და კანადაში.

* * *

**რეიკიავიკში აშშ-ს ერთ ელჩს გამოუცხადეს პროტესტი ვიკილიკსის აქტივისტების შესახებ ინფორმაციის მიღების მცდელობასთან დაკავშირებით**

ისლანდიის მთავრობამ უკვე დაგმო ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტროს მოქმედებანი, რომელმაც ვირჯინიის შტატის სასამართლოს მეშვეობით ინტერნეტ პორტალისგან მოითხოვა კონფიდენციალური ინფორმაცია ორგანიზაციის აქტივისტების შესახებ, მათ შორის ისლანდიელი პარლამენტის დეპუტატის შესახებაც.




# სტრასბურგის სასამართლომ საქართველოსადმი სარჩელების განხილვაზე უარი განაცხადა

**ადამიანთა უფლებების ევროპის სასამართლომ უარი განაცხადა საქართველოსადმი იმ 1,5 ათასზე მეტი სარჩელის განხილვაზე, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის დებულებათა სავარაუდო დარღვევებთან რუსეთსა და საქართველოს შორის 2008 წლის აგვისტოს ომის დროს.**

მთლიანად სასარჩელო განცხადებებით მიმართეს 3,3 ათასმა კაცმა. მოსარჩელეთა შორის არიან სამხრეთი ოსეთის მცხოვრებლები და რუსი სამხედროები.

სასამართლომ მოსარჩელეებს მიმართა თხოვნით – წარმოადგინონ დამატებითი ინფორმაცია. შედეგად სტრასბურგში გადაწყვიტეს არ განიხილონ საქმეები იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი ინფორმაცია არ იქნება მიღებული.

რუსეთის პოლიტიკოსების რეაქცია სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკმაოდ მკვეთრი აღმოჩნდა.

სახელმწიფო დუმის დეპუტატი ფრაქციიდან „ედინაია როსია" სერგეი მარკოვი მიიჩნევს, რომ რუსეთის ხელისუფლება უნდა გამოვიდეს მკაცრი განცხადებით ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილების საპასუხოდ.

„ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო საბაბს აძლევს მოსკოვს მკაცრი საპასუხო განცხადებებისთვის, და თუ ასეთები შემოვა, ეს იქნება დასაბუთებული", – მოჰყავს მარკოვის სიტყვა ინტერფაქსის სააგენტოს.

„ეს იურიდიული ფანდია და მეტად პოლიტიზირებული პოზიცია, რომელსაც ანტირუსული მიმართულება აქვს", – მიაჩნია მარკოვს.

სახელმწიფო დუმის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლეონიდ სლუცკიმ სტრასბურგის პოზიციას გაურკვეველი უწოდა.

„არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ევროპის სასამართლომ ამ საკითხში დაიკავა პროქართული ორიენტაცია, მაგრამ ამავე დროს იწვევს გაოცებას, რომ სტრასბურგის სასამართლო მოსარჩელეებისგან ითხოვს კიდევ რაღაც დამატებით ინფორმაციას ამ თემასთან დაკავშირებით", – თქვა სლუცკიმ ინტერფაქსთან ინტერვიუში.

მოსკოვში მიაჩნიათ, რომ სწორედ საქართველოს ხელისუფლებამ განახორციელა შეიარაღებული შეჭრა სამხრეთ ოსეთში და დაიწყო ომი.

თბილისი, თავის მხრივ, ამტკიცებს, რომ ეს მოქმედებანი იყო პასუხი სამხრეთ ოსეთის სეპარატისტებისა და რუსეთის სამხედროების პროვოკაციაზე.

რუსეთმა აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობა. მოსკოვის შემდეგ საქართველოდან გამოყოფილი რესპუბლიკის დამოუკიდებლობა აღიარეს ნიკარაგუამ, ვენესუელამ და ნაურუმ.

BBC RUSSIAN.com

ერის მოჭირნახულენი

ერთი სიტყვით, ამ სამ პიროვნებასთან ერთად მივედით იუსტიციის სამინისტროში. როგორც კი გაიგეს, რომ დმანისის საქმეზე ვიყავით, აშკარად შევამჩნიეთ, რომ სამინისტროში ისეთი განგაში იყო ატეხილი, თითქოს ქვეყანა დაიქცაო. შევედით მინისტრთან. რევაზ ხაფარიძემ მინისტრს ჩემი თავი გააცნო და მთხოვა, ინფორმაცია მიმეწოდებინა მინისტრისათვის. მე მშვიდად, წყნარად მივმართე ბატონ შუშანაშვილს (თითოეული ფრაზა მახსოვს): ბატონო ალექსანდრე, ჩვენ დღეს ჩვენს სახელოვან პიროვნებებთან ერთად ერთ საკითხთან დაკავშირებით შეგაწუხეთ. დმანისის რაიონში არის რამდენიმე სოფელი — მაშავერა, უკანგორი, ვარდისუბანი, დიდი დმანისი და ბოსლები, რომლის მოსახლეობა წარმოშობით, ენით, შეგნებით, კულტურით, ყოფით ქართველია, მაგრამ ისტორიულად გაკულაკების გამო ისინი სომხებად ჩაუწერიათ. უკვე რამდენიმე ათეული წელია, ეს ხალხი იბრძვის იმისათვის, შეიცვალონ თავიანთი ქართული გვარები და ეროვნება, მაგრამ საქმეს საშველი არ დაადგა, რის გამოც ეს ხალხი ძალზე შეწუხებულია-მეთქი.

როგორც კი ეს ინფორმაცია მივაწოდე, მინისტრმა თავი აწია, შემომხედა ძალიან არასასიამოვნო გამომეტყველებით და ყოვლად მიუღებელი, უხეში, დამამცირებელი, გაღიზიანებული ტონით მომახალა:

— ვინ არის შეწუხებული?

მე გაკვირვებული დავრჩი, რადგან ჩემთან ერთად სახელოვანი პიროვნებები იყვნენ ჩემს გვერდით. ეტყობა, გადაავიწყდა. მერე, როცა გავაანალიზე, თუ რატომ მოიქცა ასე, მივხვდი — იგი ისე იყო დარწმუნებული ჩვენს უდიდეს „დანაშაულში", რომ ჩემს განმარტებას ყურადღება არც მიაქცია.

მე იმდენად ახლოს მქონდა გულთან მიტანილი ეს საქმე, ისე განვიცდიდი ამ საქმის მოუგვარებლობას, რომ როდესაც დავინახე, ჩვენს კარგად დაწყებულ საქმეს ისევ ჩაშლა ელოდა, აღშფოთებისგან წონასწორობიდან გამოვედი და ლამის ყვირილით მივახალე:

— როგორ თუ ვინ არის შეწუხებული! თქვენ ჩაგიხედავთ მაგ ხალხის წარსულში, ჩაგიხედავთ მაგ ხალხის თვალებში? არსად თქვენ არ ჩაგიხედავთ. მიგმული ხართ ვიღაცის მიერ შედგენილ კანონებზე, როგორც მონა და იმის იქით ვერაფერს ხედავთ. აი, მაგ სკამს უფრთხილდებით თქვენ, მაგ სკამს დაკანკალებთ და მთელი ქვეყნის, ხალხის ბედი ფეხებზე გკიდიათ. მთავარია, ეგ სკამი არ დაკარგოთ. ვიღაც ტერტერების მიერ რუსეთის ადმინისტრაციის ხელშეწყობით ჩადენილი დანაშაული დღეს ვერ გამოგვისწორებია. როგორც იქნა, დაიძრა ეს საქმე, დიდი სიხარულით შეხვდა თვით ეს ხალხი, ჩვენი საზოგადოებრიობა, და ახლა თქვენ გინდათ ჩაშალოთ? იცით, რა პასუხისმგებლობას კისრულობთ? აი, ამ კაცის წინაშე (მივუთითე შალვაზე) ყველამ ქუდი უნდა მოვიხაროთ და თაყვანი ვცეთ, ეს ნამდვილი ეროვნული გმირია. გაგიგზავნიათ იქ თქვენი თანამშრომლები, თავს დასხმიან, როგორც ბანდიტები, ისე მოქცევიან, ვერც ერთი ბანდიტი ვერ შეედრება მათ. ჩვენ ემოციებს აყოლილი პატრიოტები არ გეგონოთ, ჩვენ დღე და ღამეს ვასწორებთ იმისათვის, რომ თქვენისთანების მიერ გაუბედურებულ ხალხს რამე ვუშველოთ.

გარეთ თურმე მთელი სამინისტროს თანამშრომლებს ესმოდათ ჩემი ყვირილი და ფიქრობდნენ, ეს რა ხდება ჩვენი მინისტრის კაბინეტშიო. შემოსვლას ვერ ბედავდნენ.

როგორც ჩანს, მინისტრმა იგრძნო, რომ რაღაც ეშლებოდა და ჩემი დამშვიდება დაიწყო. მე ვუპასუხე:

— მე წყნარად აგიხსენით, წყნარად მოგაწოდეთ ინფორმაცია.

შემდეგ მინისტრს მიმართეს ბ-ნმა მერაბმა, ბ-ნმა რევაზმა, ბ-ნმა ვახტანგმა. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, მოიხსნა შალვა ადუაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი. ბოლოს მინისტრმა გვითხრა:

— მე არაფრის გადაწყვეტა არ შემიძლია ამჟამად. ამ მოკლე ხანში მოსკოვში მივდივარ და იქ დავსვამ ამ საკითხს. მაგრამ მე მჭირდება საფუძველი, მეცნიერული დასკვნა, რას დავეყრდნო, რომ ესენი მართლაც ქართული მოსახლეობაა.

მე ვუთხარი, მეცნიერულ დასკვნას და ამ ხალხის რაოდენობის მონაცემებს რამდენიმე დღეში წარმოგიდგენთ-მეთქი. მინისტრი დაგვპირდა, რომ მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ, სექტემბერში, ისევ შევხვდებოდით.

აქვე მინდა ვთქვა, რომ დიდი მადლობელი ვარ ჯანსულ ჩარკვიანის, რომელიც შემდეგში, ამ პრობლემაზე საუბრის შემდეგ, დამოუკიდებლად მისულა შუშანაშვილთან. მაშინ მითხრა, როგორც ჯარისკაცი, ისე მიმსახურეთო, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ დიდი თანამდებობა ეკავა — მწერალთა კავშირის მდივანი იყო.

ერთი სიტყვით, მინისტრთან შეხვედრით კმაყოფილები დავრჩით, რადგან რაღაც საქმე მაინც გაკეთდა.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ" № 5.

სექტემბრამდე ინტენსიურად ვიმუშავე ამ პრობლემაზე, გავეცანი არქივებს, სპეციალურ ლიტერატურას... აღმოჩნდა, რომ ნახევარი ქართლ-კახეთის მოსახლეობაც თურმე ასევე სომხებად ყოფილან ჩაწერილები.

სექტემბერში სამინისტროში მივედი, რათა მინისტრს შევთანხმებოდი მომავალ შეხვედრაზე. დაუვიწყარია ეს დღე ჩემთვის.

მივედი დღის 2 საათზე. მინისტრი კაბინეტში იყო. მიღება სამ საათის შემდეგააო, მითხრა მდივანმა. გადაეცით, ჯუმბერ კოპალიანი არის მოსული-თქო, ვუთხარი. შევიდა. გამოვიდა და მეუბნება, მიბრძანდითო. მინისტრი შუა კაბინეტში შემხვდა. მომესალმა, მომიკითხა — როგორ ბრძანდებითო. ვუთხარი, ჩემი „ბრძანება" თქვენზეა დამოკიდებული-მეთქი. გაეცინა და მეუბნება: რა არის, იცით, ბატონო ჯუმბერ, მოსკოვი არ აკეთებს ამ საქმეს. მეც სიცილით ვუპასუხე:

— ბატონო ალექსანდრე, თუ თქვენ აქამდე არ იცოდით, ახლა მაინც იცოდეთ, რომ მოსკოვი

ნაც სოფელ ჯავახში, მასაც ვახარე ეს ამბავი.

შალვა მეორე დღესვე შეუდგა ინტენსიურ მუშაობას.

რამდენიმე დღის შემდეგ ისევ მოვიდა სამინისტროდან რევიზორი, რომელმაც გვარებისა და ეროვნების შეცვლის ბლანკები ჩამოართვა შალვას მმაჩის სამმართველოს უფროსის მოადგილის დავალებით, როგორც ჩანს, თავის დაზღვევის მიზნით. ისევ ჩავედით სამინისტროში. სამმართველოს უფროსის მოადგილემ, რომელსაც დავუმტკიცეთ ჩვენი საქმიანობის სიმართლე, ამჯერად სხვა გზა გვასწავლა. კერძოდ, კანონებში იყო ერთი შენიშვნა, რომელიც გვარებისა და ეროვნების საკითხს ეხებოდა. ამ შენიშვნის მიხედვით, თუ დამახინჯებული იყო გვარი ან ეროვნება, მისი გასწორება შეიძლებოდა იუსტიციის სამინისტროს გარეშე, ადგილობრივი აღმასკომის განკარგულებით. ჩვენს შემთხვევაში, რა თქმა უნდა, „დამახინჯებას" კი არ ჰქონდა ადგილი, არამედ ათეულობით წლების წინათ ქართველების სომხებად სრუ-

# ჩვენ ქართველობა ქველთაგან მოგვდევს...

## აღდგენილი ისტორიული სამართლიანობა, ანუ კარგი ეროვნული საქმე, რომელიც ყველამ უნდა იცოდეს

არ აკეთებდა, არ აკეთებს და არც გააკეთებს ჩვენს საქმეს. ჩვენი საქმე ჩვენ უნდა გავაკეთოთ.

დაინახა, რომ თავი ვერ დაიძვრინა ამ საქმიდან და ახლა სხვა მიზეზი მოიყვანა:

— ბატონო ჯუმბერ, გეფიცებით ყველაფერს, ჩემს ოჯახს, ცოლ-შვილს, მე არა მაქვს ახალი კანონის დაწერის უფლება.

მაგრამ მე ისევ ღიმილით ვუპასუხე:

— ბატონო ალექსანდრე, ვიცი, რომ თქვენ არა გაქვთ ახალი კანონის დაწერის უფლება.

მინისტრმა გაიხედ-გამოიხედა, მაგრამ ვერაფერი მითხრა. მიხვდა, რომ ასე ადვილად ვერ მომიშორებდა. დაფიქრდა და მერე მითხრა:

— სამი თვე გეყოფათ?

გაკვირვებული ვეუბნები, რა სამი თვე-მეთქი.

— სამი თვე გეყოფათ, ეგ საქმე რომ გააკეთოთ? სხვაგანაც, სადაც არის ეს პრობლემა.

ეს რომ გავიგონე, სიხარულისაგან კინაღამ დავრეტიანდი. ჩემი ნატვრა იყო, ჯერ დმანისში გაგვეკეთებინა ეს საქმე, პრეცედენტი შეგვექმნა, მერე ადვილად მოგვარდებოდა სხვაგანაც. ვუპასუხე, ჯერ დმანისში გავაკეთოთ-მეთქი. აა, ჯერ დმანისში შეგვრჩეს და მერე სხვაგან? — მეუბნება. შეგვრჩება, ნუ გეშინიათ-მეთქი. მერე მითხრა, ერთადერთი, რაც მე შემიძლია, არავის არ გამოვახედებ იქით. ისე მოაგვარეთ ეს საქმეო. ესეც, რა თქმა უნდა, ძალიან სასიხარულო იყო. მე აღელვებულმა ვუთხარი:

— ბატონო ალექსანდრე, თქვენ ახლა იცით, რას აკეთებთ? — უდიდეს გმირობას ჩადიხართ. ისეთ გმირობას, რომ დიდი ილია რომ წამოდგეს საფლავიდან, გადაგეხვეოდათ და მადლობას გეტყოდათ.

ამ სიტყვებმა ისე იმოქმედა, შეიშმუშნა. მე დიდი მადლობა გადავუხადე და წამოვედი. მოვდიოდი, მაგრამ მოულოდნელი სიხარულისაგან ლამის წავქცეულიყავი. მე იმისთვის მივედი, გამეგო, როდის უნდა შევხვედროდით. რას ვიფიქრებდი, თუ იმ დღესვე გადაწყდებოდა ეს საქმე! სახლში რომ მივედი, ჩემი მეუღლე საშინლად გაოცდა, ასე სახეარეული რომ დამინახა, მაგრამ ყველაფერი რომ მოვუყევი, სიხარულისაგან ცრემლები გადმოყარა.

მაშინვე გავიქეცი დმანისში. საღამოს ჩავედი. რაიკომის მდივნის კაბინეტში სინათლე დავინახე. ემზარი მარტო იყო და ტელევიზორში ფეხბურთს უყურებდა. ემზარ, მივიღეთ უფლება-მეთქი, — მივაძახე შესვლისთანავე. მისი სახე არ დამავიწყდება. ვეხვეოდით ერთმანეთს და ვულოცავდით.

იმავე საღამოს გავედი შალვა ადუაშვილთა-



ემზარ ბერიძე დმანისი. ნაქალაქარი. 1983 წელი

ლიად გამიზნულ ჩაწერას. მაგრამ ხსენებული შენიშვნების ფორმალური გამოყენება შეიძლებოდა გვარებისა და ეროვნების აღსადგენად.

მართლაც, ამის შემდეგ უფრო სწრაფად განვითარდა ეს პროცესი და სულ მალე რამდენიმე ათას კაცს დაუბრუნდა ქართული გვარი და ეროვნება.

როგორც მოსალოდნელი იყო, მოსკოვში გაიგზავნა საჩივრები საქართველოდან და სომხეთიდანაც.

სომხეთიდან გაგზავნილ ერთ-ერთ საჩივარში, ასეთი ფრაზაც იყო ჩაწერილი — „Геноцид Армян в Дманиси по Копаляански".

მოსკოვიდან სპეციალური კომისია ჩამოსულა მრავალრიცხოვანი საჩივრების გამო და ხელისუფლების წარმომადგენლებს თავის მართლება დასჭირდათ. იუსტიციის მინისტრს და დმანისის რაიკომის მდივანს ახსნა-განმარტებაც დააწერინეს. დმანისის რაიკომის მდივანმა მთხოვა, უზენაეს საბჭოში მივსულიყავი. მივედი, თან ხელმეორედ მოვამზადეთ მეცნიერული დასკვნა ცნობილი მეცნიერ-ისტორიკოსების ხელმოწერით, რომელიც თან წავიღე. უზენაეს საბჭოში შევხვდი ანზორ კალმახელიძეს. ჩემს მისვლას, როგორც აღმოჩნდა, ისეთი მნიშვნელობა მიანიჭეს, რომ რამდენიმე თანამშრომელიც შემოგვიერთდა. მე გადავეცი მეცნიერული დასკვნა და თითქმის ერთსაათიანი „ლექციის" წაკითხვა მომიწია აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით. იმდენად კმაყოფილი დარჩნენ, რომ დიდი მადლობაც გადამიხადეს. ბატონმა ანზორმა ისიც კი მითხრა, რომ „თქვენისთანების თავგანწირვა და პრინციპულობა, სამართლიანობის აღდგენისათვის ბრძოლა იცავს ჩვენს ქვეყანას, ჩვენ ასეთი გაბედულები არ ვართო". ასეთი განცხადების გაკეთება კარგ კაცს, გულწრფელ ადამიანს შეუძლია.

მოკლედ, მე ყველგან და უზენაეს საბჭოშიც განვაცხადე — მე მზად ვარ მაგიდასთან დავჯდე და სომხეთის პატრიარქ ვაზგენს მაგიდაზე დავუწყო უამრავი საბუთი, თუ რა დანაშაული აქვთ სომხებს (გარკვეულ პიროვნებებს — მეცნიერებს, მწერლებს, სასულიერო პირებს და სხვ.) ჩადენილი საქართველოსა და ქართველების მიმართ-მეთქი.

დმანისისა და ბოლნისის რაიონის საქმე რომ მოვაგვარეთ გვარებისა და ეროვნების აღდგენისა, ჯერი მიდგა სხვა რაიონებზეც, მათ შორის გარდაბნის რაიონზე, რომლის რაიკომის მდივანმა ბატონმა ოთარ ბოკერიამ დმანისის რაიკომის მდივანს სთხოვა დახმარება. მე ჩაველი მასთან და კონსულტაცია გავუწიე. აქაც წარმატებით განვითარდა ქვემო ქართლში დაწყებული პროცესი. შემდეგ წყნეთსა და

ქართლ-კახეთის სხვა რაიონებშიც მრავალ ათას ადამიანს დაუბრუნდა ქართული გვარი და ეროვნება. დღესდღეობით ამ ციფრმა ორასი ათასს გადააჭარბა. სხვათა შორის, რამდენიმე ასეული განცხადება იყო შემოსული იმ ადამიანებისა, რომლებიც აფხაზებად იყვნენ ჩაწერილები და ქართული ეროვნების დაბრუნებას მოითხოვდნენ (ამ საკითხზე მე სოხუმშიც მომიწია ჩასვლა), მაგრამ აფხაზეთში განვითარებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა ეს პროცესი შეაჩერა.

ცხადია, ძალად გასომხებული ქართული მოსახლეობისათვის მშობლიური გვარისა და ეროვნების აღდგენის „დანაშაულისათვის" 30-40-იან წლებში ალბათ დახვრეტა არ აგვცდებოდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ასე თუ ისე შეცვლილი იყო დრო და ამიტომ მაინც შევძელით ამ საქმის შესრულება საკმაოდ დიდი წინააღმდეგობისა და უსიამოვნებების მიუხედავად.

ამ მხრივ ძალიან გაგვიჭირდა კასპის რაიონში (რაიკომის მდივნები — ვაჟა კვალიაშვილი, ჯონდო ჯავახიშვილი). იძულებული გავხდი ცკ-ის პირველ მდივან ჯუმბერ პატიაშვილთან ერთ-ერთი შეხვედრის დროს ამის შესახებ მისთვის მეთქვა. არ გასულა რამდენიმე დღე და ჩემთან სახლში მოვიდა კასპის მუზეუმის დირექტორი, მწერალი გიორგი ხორგუაშვილი (შაბათი დღე იყო). იგი ჩემთან კასპის რაიკომის მდივანს ჯონდო ჯავახიშვილს გამოეგზავნა და მთხოვდა შეხვედრას. ამასთან, გიორგი ხორგუაშვილმა დაამატა, რომ ამ საქმის გაკეთება ჩვენს მდივანს უნდაო. მე მაშინვე მივხვდი, თუ საიდან მოდიოდა ყველაფერი ეს. ხვალვე, კვირა დღეს, გელოდებათ, თუ ჩამოხვალთო. მე, რა თქმა უნდა, დავთანხმდი. ცოტა ხანში ჩემთან სახლში მოვიდა ზურაბ ჭავჭავაძე. როცა მას ვუთხარი, ხვალ კასპში უნდა წავიდე-მეთქი და ავუხსენი საქმის ვითარება, მთხოვა, მეც წამოვალო. მეორე დღეს მე და ზურაბი ჩემი „ვილისით" კასპში ჩავედით. რაიკომის მდივანი მელოდა. შეხვედრისას, მიკითხვა-მოკითხვისთანავე გვითხრა, რომ ორი დღის წინათ ჯუმბერ პატიაშვილმა დამირეკა და შენიშვნა მომცაო. „შენს გამო ჯუმბერ კოპალიანი მე რატომ უნდა მეუბნებოდეს საყვედურსო". მომეწონა მისი გულახდილობა. საერთოდ, ჯონდო ჯავახიშვილი ძალიან კარგი ვაჟკაცია.

მოკლედ, შევუდექით კასპის რაიონშიც საშვილიშვილო საქმის გაკეთებას — სამართლიანობის აღდგენას. კურიოზია, რომ შუაგულ ქართლში, ქართულ მიწაზე სომხები ქართველებს სომხებად წერდნენ და ჩვენ ამდენი ხნის შემდეგ ჩვენს მიწაზე, ჩვენს თანამემამულეებს თავიანთ მშობლიურ გვარსა და ეროვნებას ვერ ვუბრუნებდით. ასე რომ, ამ დრომდე კასპის რაიონში დიდი რაოდენობა მოსახლეობისა სომხებად იყვნენ ჩაწერილი, განსაკუთრებით დიდ სოფელ ახალქალაქში.

საინტერესოა ამ პროცესის აღქმა დღევანდელობის კონტექსტშიც.

დღეს ძალიან მძაფრი დავა მიმდინარეობს იმის შესახებ, პირადობის მოწმობაში ეროვნება უნდა გვეწეროს თუ საქართველოს მოქალაქე.

XIX-XX საუკუნეებში რუსი იმპერიალისტები ყოველნაირი ხერხით ცდილობდნენ თავიანთი იმპერიული ზრახვების განხორციელებას ყველგან და მათ შორის ჩვენთანაც, საქართველოში. მათ ამ მიზნით მშვენივრად გამოიყენეს ეროვნების მითითება პირადობის მოწმობაში. რეგიონში „არასაიმედო" ქართველების ხვედრითი წილის შემცირების მიზნით მათ არა მარტო სხვა ეროვნების ხალხები ჩამოასახლეს, არამედ ქართველები ბევრგან ჩაწერეს სომხად, აზერბაიჯანლად, აფხაზად, ოსად, რუსად და ა. შ. მათ სურდათ ეთნიკური თვალსაზრისით ხელოვნურად აეჭრელებინათ საქართველოს ტერიტორია და ამ გზით გარკვეულ დროს ასაფეთქებლად გამიზნული ნაღმები ჩაედოთ.

ჩვენს ტერიტორიაზე ეროვნების მითითება ჩვენს ეროვნულ ინტერესებს რომ შეესაბამებოდეს, ცხადია, რუსი იმპერიალისტები ამას არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდნენ. პირიქით, მათ მშვენივრად გამოიყენეს ჩვენს წინააღმდეგ ეროვნების მითითება პირადობის მოწმობებში.

რაც შეეხება „საქართველოს მოქალაქის" მოწინააღმდეგეთა მთავარ არგუმენტს, რომ თითქოს თუკი ეროვნება არ გვეწერება, ქართველობას დავკარგავთო, ამის სრულ უსაფუძვლობას ძალად გასომხებული ქართველების მიერ ქართველობის მტკიცე შენარჩუნება ამტკიცებს. მთავარია, ქართველობის შენარჩუნების სურვილი და პირობები გვქონდეს და პასპორტში რა გვეწერება „ქართველი" თუ „საქართველოს მოქალაქე", არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენს შემთხვევაში ეროვნებაც „სომეხი" ეწერათ და გვარიც სომხური ჰქონდათ, მაგრამ ქართველობა მაინც მშვენივრად შეინარჩუნეს.

პირადობის მოწმობაში ეროვნების აღნიშვნით, შესაძლოა, სწორედ მრავალი ქართველი „დავკარგოთ". არაა გამორიცხული, მეზობელმა ქვეყნებმა კვლავ წინააღმდეგობა გაგვიწიონ ქართული გვარებისა და ეროვნების აღდგენაში, ხოლო „საქართველოს მოქალაქის" ჩაწერით ეს პრობლემა მოიხსნება.

**ჯუმბერ კოპალიანი**

სეზონის წინ

# ახალი სისხლი „დინამოში“

**დამდეგი სეზონის წინ, ალბათ, მნიშვნელოვნად გაძლიერდება თბილისის „დინამო“.**

საამისოდ საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი კლუბის ახალმა შეფებმა ქმედითი ნაბიჯები გადადგეს და უკვე ოთხ დებიუტანტს აკვირდებიან.

კერძოდ, დილმის საწვრთნელ ბაზაზე დაწყებულ შეკრებაზე კახი კაჭარავა და მისი თანაშემწე ზაურ სვანიძე 24 წლის ინგლისელ მცველ დანიელ ოდონელს, მის თანატოლ ახალზელანდიელ თავდამსხმელ კრის ბრაიტს, 19 წლის იტალიელ შემტევ ნახევარმცველ ანდრეა ტოდოროვსა და 22 წლის ფრანგ შუახაზელ სემ დელასს აკვირდებიან. გავეცნოთ თითოეულ მათგანს.




**დანიელ ოდონელი** 16 წლის იყო, როცა „ლივერპულმა“ კონტრაქტი გაუფორმა და ამ სახელოვანი კლუბის 18-წლამდელთა კაპიტნობა ანდო. 2005 წელს რაფაელ ბენიტესმა მთავარ გუნდში გადაიყვანა და იმავე წელს მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზეც წაიყვანა. წითელი მაისურით გამართული რამდენიმე მატჩის შემდეგ პირველი დივიზიონის „ქრიუში“ გაანათხოვრეს, ხოლო შარშან მეორე დივიზიონის „შრიუსბერიში“ ჩაირიცხა.

იქვე თამაშობდა **კრის ბრაიტიც** (4 შეხვედრა ახალი ზელანდიის ეროვნულ ნაკრებში), რომელმაც ევროპული კარიერა ჰოლანდიის ქალაქ სიტარდის „ფორტუნაში“ დაიწყო და ბერძნულ „პანსერაიკოსში“ განაგრძო.

რაც შეეხება **ანდრეა ტოდოროვს,** იგი რომის „ლაციოს“ საფეხბურთო აკადემიის აღზრდილია, ხოლო ალჟირული წარმოშობის **სემ დერასი** „ლიონის“ საფეხბურთო აკადემიაში დაოსტატდა და ბოლო პერიოდში ესპანეთის მეორე დივიზიონის „ლორკას“ სპორტულ ღირსებას იცავდა.

დავძენთ, რომ „თეთრ-ლურჯები“ 23 იანვრიდან საწვრთნელ შეკრებას ანტალიაში გაივლიან, სადაც 5 სპარინგს გამართავენ, თურქეთში გამგზავრებამდე კი სამშობლოში საკონტროლო თამაშებს ასეთი გრაფიკით მოაწყობენ: „დინამო“ – სტუ (13 იანვარი), „დინამო“ – „ლოკომოტივი“ ( 15 იანვარი), „დინამო“ – „სიონი“ ( 18 იანვარი) და „დინამო“ – „გაგრა“ (22 იანვარი).

**გიორგი შოთაძე**

ჭადრაკი

# პირველი „მოსავალი“

**სასტუმრო „ანაკლიაში“ (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი), როგორც გაუწყეთ, დაიწყო საქართველოს მოჭადრაკე ქალთა 68-ე ეროვნული ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი. მედლებისთვის ბრძოლაში 13 დიდოსტატი და საერთაშორისო ოსტატი ჩაება. გამარჯვებული წრიული სისტემით 23 იანვარს გამოვლინდება.** ასპარეზობის მთავარი მსაჯია საერთაშორისო არბიტრი, ორგზის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ნანა ალექსანდრია, საპრიზო ფონდი – 13500 ლარი, საიდანაც ჩემპიონი 4 ათას ლარს მიიღებს. პირველ-მესამე ადგილებზე გასული მოჭადრაკეები ევროპის ჩემპიონატზე გასამგზავრებლად დაფინანსდებიან, თანაც ტიტულის მფლობელი ეროვნულ გუნდში დაიბევებს ადგილს. საქართველოს ქალთა ნაკრებს კი წლეულს საინტერესო შეჯიბრებები ელის – ევროპის და მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატები. ჩვენს ქალბატონებს კონტინენტის პირველობებში არაერთხელ უყოჩაღიათ, აი, მსოფლიოს ჩემპიონატებზე მედლები ერთხელაც არ მოუხვეჭიათ.



ახლა კი „ანაკლიაში“ დაწყებული ტურნირის შესახებ: ასპარეზობის სტარტზე ქვეყნის შარშანდელმა ჩემპიონმა ბათუმელმა სალომე მელიამ თანაქალაქელ ნინო ბაციაშვილს აჯობა. ეროვნული ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა ნინო ხურციძემ 2008 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებული სოფიკო ხუხაშვილი (ორივე – თბილისი) დაამარცხა. შეჯიბრებაზე სპეციალურად მოიწვიეს ამჟამად მოსკოვში მცხოვრები 17 წლის ნაზი პაიკიძე, რომელმაც განსაკუთრებით შარშან ისახელა თავი: ჯერ მოსკოვის საერთაშორისო ტურნირზე სალომე მელიასთან ერთად პირველ-მეორე ადგილები გაინაწილა, მერე მოსკოვის ჩემპიონატი მოიგო, რუსეთის პირველობის უმაღლეს ლიგაში პირველი ადგილი დაიკავა, სუპერფინალში კი მე-4 ადგილს დასჯერდა, მსოფლიო რეიტინგი 2455 პუნქტამდე აიმაღლა და ქართველ მოჭადრაკეებს შორის მესამე ადგილზე გადაინაცვლა. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ მასთან ხელშეკრულება გააფორმა, რომლის თანახმადაც პაიკიძე საერთაშორისო სარბიელზე მხოლოდ ჩვენი ქვეყნის სახელით (არადა, მას ორმაგი მოქალაქეობა აქვს) გამოვა. ეროვნული ჩემპიონატის სტარტი მისთვის უიღბლო აღმოჩნდა – თეთრი ფიგურებით ბათუმელ მირანდა მიქაძესთან წააგო. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: სოფიო ნიკოლაძე (თბილისი) – მაკა ფურცელაძე (გურჯაანი) 0:1, მარიამ დანელია (თბილისი) – მერი არაბიძე (ქუთაისი) 1:0, ლელა ჯავახიშვილი (თელავი) – ბელა ხოტენაშვილი (თელავი) 0,5:0,5. დიდოსტატი მაია ლომინეიშვილი პირველ ტურში ისვენებდა.

**ლექსო ცინცაძე**

რჩეულნი

# მესიაა, აბა რა

**ლეონელ მესის ეპოქა გრძელდება.**

**როგორ ცდებოდნენ ისინი, ვინც ფიქრობდა, რომ ფიფასა და „ფრანს ფუტბოლის“ პირველ ერთობლივ რეფერენდუმს შარშანდელი მუნდიალის რომელიმე გმირი მოიგებდა – ანდრეს ინიესტა ან ხავი.**

როგორც ჩვენი დე ფაქტო პრეზიდენტი ჩაიქირქილებს ხოლმე, ნურას უკაცრავად – საფეხბურთო სამყარომ ზედიზედ მეორედ მიანიჭა უპირატესობა არგენტინელ გენიოსს. თუ ვინმე გაკვირვებისგან მხრებს აიჩეჩავს, მაინც რატომო, მას ფაქტით ვუპასუხებთ: სეზონის განმავლობაში „ბარსელონას“ ლიდერმა 64 მატჩში მეტოქეებს 58 გოლი გაუტანა, აქედან 35 – პრიმერა-დივიზიონში.

მართალია, მან სამხრეთაფრიკული ფორუმი ჩააფლავა, მაგრამ ამის შემდეგ ბრაზილიელებთან და ტრიუმფატორ ესპანელებთან გამართულ პრინციპულ ამხანაგურ შეხვედრებში გაიბრწყინა.

ასე რომ, მოდით, ვაღიაროთ: **სამართალმა პური ჭამა.**

იგივე შეიძლება ითქვას ქალთა რჩეულ ბრაზილიელ მარტაზეც, რომელმაც ზედიზედ მეხუთედ(!) დაჯაბნა კონკურენტები, მათ შორის გერმანელი ბომბარდირი ბირგიტ პრინსი.

თუმცა, ამ უკანასკნელის თანამემამულეს ლაურეატობა მაინც ხვდა – ეს პატივი ევროპის უძლიერესი ნაკრების მწვრთნელ სილვია ნეიდს ერგო.

რაც შეეხება ღირსეულ მაესტროთა დავას, აქაც საკლუბო მონაგარი უფრო დაფასდა და ჟოზე მოურინიუმ ვისენტე დელ ბოსკეს გაუსწრო.



ციურიხში გამართულ დაჯილდოების ცერემონიალზე სპეციალური პრიზები კიდევ ორ ნომინაციაში გამარჯვებულს გადაეცა. ესენი არიან სამხრეთაფრიკელი არქიეპისკოპოსი დესმონდ ტუტუ და განვლილ სეზონში გატანილი ულამაზესი გოლის თურქი ავტორი ჰამით ალტინტოპი.

SIC!

## ზუგდიდის „ბაიას“ დაშლა მიზანმიმართულად მიმდინარეობს

**ზუგდიდის საფეხბურთო კლუბი „ბაია“ ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. გუნდი დაშლის პირასაა მისული, განმკითხავი კი არავინაა.**

**„დაპირებითაც არავინ არაფერს გვპირდება, იმედებიც არსაიდან ჩანს. ჩემი აზრით „ბაიას“ დაშლა მიზანმიმართულად მიმდინარეობს. ზუგდიდში აღმშენებლობა გრძელდება, ხომ შეიძლება აქაურ გულშემატკივრებს საყვარელი გუნდი შევუნარჩუნოთ?“ – აცხადებს ზუგდიდის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი როლანდ მაქაცარია.**

საბაზრო ენაზე რომ ვთქვათ, „ბაიას“ 51 პროცენტის მფლობელია სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ზაზა გოროზია, 49 პროცენტი კი ეკუთვნის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ზვიად სიჭინავას.

ზვიად სიჭინავა ასე თუ ისე ასრულებს თავის მოვალეობას, რაც გამოიხატება გუნდის კეთილმოწყობილი ბაზით, ტრანსპორტითა და კვებით უზრუნველყოფაში, ზაზა გოროზიას კი მხოლოდ ფეხბურთელებისთვის ხელფასების გადახდა ევალება! გუნდში ხუთი თვეა ხელფასები არ გაცემულა! გუნდის ათმა წამყვანმა ფეხბურთელმა სწორედ უხელფასობის გამო დატოვა „ბაია“.

კონფლიქტის ზონის სიახლოვეს მცხოვრებ ზუგდიდელთათვის ფეხბურთი ერთ-ერთი საყვარელი სანახაობაა, ამიტომაც ითხოვენ ვითარების გამოსწორებას.

„ჩვენ გვსურს გუბერნატორი ტელევიზიით გამოვიდეს, შეხვდეს გულშემატკივრებს და აგვიხსნას, თუ რას აპირებს... თუ გუნდის პატრონობა არ შეუძლია, ისიც გვითხრას, – ზუგდიდელთა სურვილია „ბაია“ ჩაბარდეს მუნიციპალიტეტის გამგებელს ალექსანდრე ქობალიას. მას ძალიან უყვარს მშობლიური ქალაქი და ჩვენ გვჯერა, რომ ის ნამდვილად მიხედავს და უპატრონებს ფეხბურთს ზუგდიდში“ – ამბობს როლანდ მაქაცარია.

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდი.**

თხილამურები

# სამშობლოს სახელით



**ქართველი სამთო მოთხილამურე 17 წლის ჯაბა გელაშვილი რამდენიმე წელიწადია, უცხოეთში ცხოვრობს, მაგრამ საერთაშორისო სარბიელზე ჩვენი ქვეყნის სახელით ასპარეზობს.** ნაახალწლევს მან ახალგაზრდებს შორის გერმანიის ღია პირველობაზე მე-14 ადგილი დაიკავა, იტალიაში კი თანატოლებთან პაექრობა სლალომში მე-6 ადგილით დაასრულა. ევროპაში ახლა ზამთრის სეზონის შუაგულია და მნიშვნელოვანი შეჯიბრებები ჯერ კიდევ წინ არის.

**გივი გაგუა**

ინტერნეტიდან

## ბრძნული თამაშის დიდოსტატები



**ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ (ფიდე) გამოაქვეყნა იანვრის რეიტინგ-ფურცელი. ამ ბრძნული თამაშის მამაკაც ოსტატთა პირველ ათეულში შევიდნენ: 1. კარლსენი** (ნორვეგია) – 2814 ქულა, **2. ანანდი** (ინდოეთი) – 2810, **3. არონიანი** (სომხეთი) – 2805, **4. კრამნიკი** (რუსეთი) – 2784, **5. კარიაკინი** (რუსეთი) – 2776, **6. ტოპალოვი** (ბულგარეთი) – 2775, **7. გრიშჩუკი** – 2773, **8. მამედიაროვი** (აზერბაიჯანი) – 2772, **9. ივანჩუკი** (უკრაინა) – 2764, **10. ნაკამურა** (აშშ) – 2751.

## ტრადიციული და სიმბოლური



**სპორტული გამოცემები ევროპის ასოციაციამ (ESM) ფეხბურთში კონტინენტის ეროვნული ჩემპიონატების დეკემბრის შედეგების მიხედვით ტრადიციულად შეადგინა ევროპის სიმბოლური ნაკრები.**

**აი, ვინ შევიდნენ ამ რჩეულთა დეკემბრის ნაკრებში: ვალდესი** („ბარსელონა“ – 5 ხმა), **დანიელ ალვეში** („ბარსელონა“ – 4), **ვიდიჩი** („მანჩესტერ იუნაიტედი“ – 4), **პიკე** („ბარსელონა“ – 5), **ხავი** („ბარსელონა“ – 6), **ნასრი** („არსენალი“ – 6), **კრიშტიანუ როლანდუ** („რეალი“ – 4), **მესი** („ბარსელონა“ – 10), **კავანი** („ნაპოლი“ – 3), **ვილია** („ბარსელონა“ – 3), **გომესი** („ბავარია“ – 5).

## ზოგჯერ დამაც უნდა მოკეტოს

**სწორედ ასეთი შთაბეჭდილება დარჩა ხალხს, როდესაც ამერიკაში ძალზე პოპულარული ლამაზმანის კიმ ყარდაშიანის – „ნიუ ჯერსი ნეთსის“ კალათბურთელის კრის ჰამასისის სატრფოს დამ ხლოიამ საქვეყნოდ განაცხადა, რომ მისი და და კალათბურთელი მხიარულ სექსს ეწევიანო. ეს მას შემდეგ მოხდა, როცა კიმმა ტელეჟურნალისტებს განუცხადა, რომ ისა და კრისი მხიარულად მუშაობენ. დამ კი არც აცია არც აცხელა და ტელეკამერებში პირდაპირ უწმაწურად წაიხუმრა – სექსის დროს იმხიარულებენ, მაშ, რა იქნებაო?!**



შეგახსენებთ, რომ კიმი ერთ დროს კრიშტიანუ რონალდუს სატრფოც იყო. როდესაც სპორტსმენების მოყვარულმა თავისი დის ვულგარული ნათქვამი გაიგო, თქვა, რომ „ეს ხლოიამ თქვა, მე კი არა!“

როგორც ამბობენ, დის ნათქვამი ვერ შეარყევს კიმისა და კრისის ურთიერთობას, ერთმანეთზე რომ გიჟდებიან. კალათბურთელმა ლამაზმანი თავის მშობლებსაც გააცნო, მათ კი კიმი ძალზე მოეწონათ.

ჩვენი კარაბადინი

## დიდი ამბავი, ნემსის გაკეთება!



**ჯორჯიის შტატის ემორის უნივერსიტეტისა და ტექნოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერები გვთავაზობენ გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაციის ახალ მეთოდს. მათ დაამუშავეს ტრანსდერმალური სალბუნი (პლასტირიძ მიკრონემსებით (მილიმეტრზე ნაკლები სიგრძისაძ, რომელშიც არის ვაქცინა. კანთან შეხების დროს ნემსები დნება, ვაქცინა კი ხვდება ორგანიზმში და აძლიერებს იმუნიტეტს, იმუშავებს ვირუსებისადმი უგრძნობლობას.** გამოკვლევის ხელმძღვანელი შონ სალივანი აღნიშნავს ახალი მეთოდის ორ ღირსებას: ჯერ ერთი, ნემსის გაკეთება არ იწვევს აბსოლუტურად არანაირ ტკივილს, მეორეც, წამლის პრეპარატის ხარჯი უფრო მცირეა, ვიდრე ჩვეულებრივი ვაქცინაციის დროს, მაშასადამე, პანდემიის დროს დაგვჭირდება ნაკლები რესურსები. მეცნიერებს იმედი აქვთ, რომ ახალი ტექნოლოგია დაინერგება უახლოეს პერიოდში და გრიპის საწინააღმდეგო სალბუნები შეიძლება ჩვეულებრივად შეიძინო აფთიაქში.

## კენკრის დრო



**მოცვი ცნობილია უწინარეს ყოვლისა, როგორც მხედველობის გასაუმჯობესებელი კენკრა, მაგრამ მისი სასარგებლო თვისებები ამით არ შემოიფარგლება.** მოცვის ფიტონციდები დამღუპველია დიზენტერიის ჩხირებისთვის, სტაფილოკოკებისთვის, კუჭ-ნაწლავთა ინფექციის გამომწვევებისთვის, მუცლის ტიფისთვის. იაპონელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ არსებულ პროანტოციანდილს შეუძლია შეაჩეროს ციროზის განვითარება. გერონტოლოგები და კოსმეტოლოგები აფასებენ მოცვს მიკრო და მიკროელემენტების შემცველობის გამო, რომლებიც ანელებენ დაბერების პროცესს. მოცვს რეკომენდაციას უწევენ თირკმელებში ქვების წარმოქმნის, რევმატიზმის და ნიკრისის ქარის დროს. პოლიფენოლოი, რომელსაც შეიცავენ მოცვის ფოთლები, შეიძლება გახდეს ძირითადი კომპონენტი ც ჰეპატიტის სამკურნალო წამლისთვის. სანამ არ დამთავრებულა მოცვის სეზონი (ამ თვის ბოლომდეძ, ექიმები გვირჩევენ ყოველდღე მივირთვათ ნახევარი ჭიქა ეს კენკრა და მოვიმარაგოთ გამომშრალი მოცვი ზამთრისთვის.

## ყავა იცავს ტვინს



**ინდოელი მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ კოფეინს შეუძლია შეამციროს ტვინში სისხლის შედინების ოდენობა, რაც ამუხრუჭებს კიბოს სიმსივნეების განვითარებას.** მკვლევარებმა შეისწავლეს 500 ათასი კაცის სამედიცინო მონაცემები, შეამოწმეს ყავის გავლენა მათს ჯანმრთელობაზე, მათ შორის ონკოლოგიურ დაავადებათა შემთხვევების სიხშირეზე. აღმოჩნდა, რომ ერთი ჭიქა ყავის ყოველდღიური დალევა ამცირებს კიბოს წარმოქმნის რისკს 43 პროცენტით.

## პირსინგი, როგორც ნარკოტიკი

**პირსინგი – სხეულის გახვრეტა სამკაულების სატარებლად – შეიძლება გაგრძელდეს, და ის არ შემოიფარგლება მხოლოდ ყურების გახვრეტით. ცხვირი, წარბები, ენა, ჭიპი, ძუძუს თავები და სასქესო ორგანოებიც კი პერსინგის „მსხვერპლი“ ხდებიან.** ახალი გამოკვლევის თანახმად, რომელიც მოაწყვეს ამერიკის შეერთებული შტატების ტეხასის უნივერსიტეტის მეცნიერებმა, ინტიმური პირსინგი – გენიტალიების გახვრეტა და მათი მორთვა სხვადასხვა საყურეებით – იზიდავს არა მხოლოდ ყველანაირი ექსპერიმენტებისთვის მზადმყოფ მოზარდებს ან მარგინალურ ელემენტებს, არამედ საშუალო ასაკის საშუალო შემოსავლების მამაკაცებსაც. ძირითადად თავიანთ სასქესო ორგანოებს ოსტატების ნემსებს „უშვერენ“ დაახლოებით 31 წლის მამაკაცები, თეთრები, გეტეროსექსუალები, რომლებმაც მიიღეს უმაღლესი განათლება და გამოიმუშავებენ 36 ათასზე მეტ დოლარს წელიწადში.





ხელოვნება

# ლეილა კვანტალიანი

მძიმედ დაიწყო ახალი წელი ჩვენთვის – გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ლეილა კვანტალიანი.

ლეილა კვანტალიანი დაიბადა 1931 წელს ქუთაისში. საშუალო სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა (1949წ.ძ, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი – წარჩინებით (1953წ.ძ. ამ დღიდან მოყოლებული ლ. კვანტალიანი ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში განაგრძობს პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას. ძოწენიძეების სახელგანთქმულ ოჯახში აღზრდილ ქალბატონს მაგალითად და გზამკვლევად დეიდა ჰყავდა – ქართული ენის გამოჩენილი მკვლევარი ქეთევან ძოწენიძე. ამ ქვეყნიდან ნაადრევად წასული ქეთევან ძოწენიძის მეცნიერული მემკვიდრეობა რომ ამშვენებს ქართული ენათმეცნიერების ოქროს ფონდს, ეს ლ. კვანტალიანის დამსახურებაა: სწორედ მისი მონდომებისა და მრავალწლიანი თავდადებული შრომის შედეგად შეიკრა და მზის სინათლე იხილა ქ. ძოწენიძის ორმა სოლიდურმა წიგნმა – „ზემოიმერული კილოკავი“ და „ზემოიმერული ლექსიკონი“. ლ. კვანტალიანის ღვაწლს ამ წიგნების გამოცემის საქმეში მაღალი შეფასება მისცა რედაქტორმა აკადემიკოსმა არნოლდ ჩიქობავამ.



1976 წლიდან ლ. კვანტალიანი საცხოვრებლად თბილისში გადმოდის და ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილებაში იწყებს მუშაობას უფროსი მეცნიერი მუშაკის თანამდებობაზე. ამ პერიოდიდან იგი ძირითადად სამეცნიერო საქმიანობას ეწევა. ქართული ენათმეცნიერებისათვის დიდად ფასეულია მისი გამოკვლევები. იგი ძირითადად ორი მიმართულებით მუშაობდა: იკვლევდა, ერთი მხრივ, ქართული ენის სინტაქსის საკვანძო საკითხებს და, მეორე მხრივ, ქართული ენის შესწავლის ისტორიას. ამ კვლევის შედეგები წარმოჩნდა ათეულობით ნაშრომში, მათ შორის მონოგრაფიაში: „ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები“, „მისამართი სიტყვისა და მიმართებითი ნაცვალსახელის შეთანხმება ქართულში“, „სილოვან ხუნდაძის გრამატიკული ნაშრომი“.

ლეილა კვანტალიანი სანიმუშო იყო როგორც არა მხოლოდ პედაგოგი და მეცნიერი, არამედ როგორც პიროვნება, კოლეგა.

ჩვენ ცოტა შეგვხვედრია ცხოვრებაში ისეთი პრინციპული, უკომპრომისო, პირდაპირი, სიმართლისმოყვარული და უმწიკვლო პიროვნება, როგორიც ქალბატონი ლეილა კვანტალიანი იყო. იგი იყო ზნეობრივი პიროვნება. ქალბატონი ლეილა იყო მეგობრისადმი, კოლეგისადმი, საერთოდ, მოყვასისადმი ზრუნვის საუკეთესო მაგალითი.

განუზომელია ჩვენი მწუხარება.
სამარადისო იყოს მისი ხსოვნა.

არნ. ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი დიდი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ენათმეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ლეილა კვანტალიანი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 11, 12 I, 16 სთ. მის: ბახტრიონის ქუჩა №29, IV სადარბაზო, V სართული. დაკრძალვა: 13 I, 14 სთ. ქ. ქუთაისში. გამოსვენება საფიჩხიის ეკლესიიდან.

ინფორმაცია

# ორივე ხიდი აღდგა



**შარშანდელმა წყალდიდობამ საგრძნობლად აზარალა სოფელ გლდანულას მოსახლეობა. ადიდებულმა მდინარე გლდანულამ უზარმაზარი ხიდები დაანგრია, რასაც ორი ადამიანი შეეწირა. ეს მოვლენა გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ გააშუქა.**

ამჟამად ორივე ხიდი აღდგენილია. დიდი ხიდი დასავლეთ საქართველოდან მომავალ ტრაილერებს ემსახურება, რომლებიც ირანიდან და თურქეთიდან მოდიან, ავჭალის დასახლებასთან უხვევენ ახალ ტრასაზე და გლდანისკენ მიემართებიან. ტრასის ბოლოს კახეთის ცენტრალური გზის გადაკვეთით რუსთავისკენ მიემართებიან, იქიდან კი გზას აგრძელებენ აზერბაიჯანსა და სომხეთში.

ხიდის დანგრევის გამო ყველა ეს მძიმე წონის ტრაილერი ჩვენი დედაქალაქის ცენტრის გავლით შემოდიოდა, რამაც ქალაქი გადატვირთვა. ახლა ეს მანქანები ისევ ძველი ტრასით მოძრაობენ.

რაც შეეხება პატარა ხიდს, სოფელ გლდანის, ცხვარიჭამიასა და მთიანეთის მოსახლეობას ემსახურება. ეს ხიდიც თანამედროვე სახით აღდგა. მდინარის კალაპოტს ბეტონის კედელი აუშენეს. ნაპირები ისე გამაგრდა, რომ რაც უნდა ადიდდეს გლდანულა, წყალი ველარ დაანგრევს ჯებირებს. საყრდენი ბოძები საფუძვლიანად გამაგრებულია. სწორედ ამის გამო მოშალა წყალმა ბურჯები და საძირკველი გადმორეცხა.

ახლა კი ორივე ხიდი საიმედოდ არის გამაგრებული.

ნატა ნიბლაძე
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.



ბოლო საათს

## პაულო კოელიო: ირანში ჩემი წიგნები აკრძალეს

ცნობილმა ბრაზილიელმა მწერალმა პაულო კოელიომ განაცხადა, რომ მისი წიგნები ირანში აკრძალეს.



მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული თანამედროვე მწერალი პაულო კოელიო ამბობს, რომ აკრძალვის მიზეზები მისთვის უცნობია. ბოლო 12 წლის მანძილზე ირანში მისი 6 მილიონი წიგნი გაიყიდა.

„ვიმედოვნებ, რომ ეს გაუგებრობა ერთ კვირაში დასრულდება. მე ბრაზილიის ხელისუფლების მხარდაჭერის იმედი მაქვს“, - დაწერა კოელიომ თავის ბლოგზე.

კოელიომ ასევე აღნიშნა, რომ შესაძლოა, სპარსულ ენაზე ნათარგმნი მისი წიგნები ინტერნეტში უფასოდ გამოქვეყნდეს.

კოელიოს „ალქიმიკოსი“ ბესტ-სელერია. მსოფლიოს 150 ქვეყანაში ამ დრომდე კოელიოს 300 მილიონი წიგნია გაყიდული.

ნომრის კარიკატურა



## დაიჯესტი

### ნახევარბოქსი და არქიტექტორული „ქილვაში“




**ჭეშმარიტ მუსლიმანს ყველა დანარჩენი მოკვდავისგან ამიერიდან ვარცხნილობის ექვსი სახეობითაც გამოარჩევთ. საქმე ის არის, რომ ირანში „ისლამური“ თმის ვარცხნილობების სრული კატალოგი გამოაქვეყნეს, რომელშიც ასევე დაწვრილებითი რეკომენდაციებია მოცემული. ქალბატონებს მართალია თმა გრძელი უნდა ჰქონდეთ, მაგრამ მას უცხო თვალს უნდა უმალავდნენ. მამაკაცებს კი პირიქით, გრძელი თმის ტარება ჰომოსექსუალიზმში ბრალდების წაყენების შიშით აუკრძალეს. სამაგიეროდ წვერისა და ულვაშის მოშვების რჩევა მისცეს.**

– შეთავაზებული თმის ვარცხნილობა ირანელთა გარეგნობიდან, ჩვენი კულტურიდან და ისლამური კანონებიდან გამომდინარეა შერჩეული, – ამბობს მორიდებულობისა და ჰიჯაბის ფესტივალის ჩატარებაზე პასუხისმგებელი ქალბატონი ჯალეჰ ჰოდაირი. იგი დიდი კმაყოფილებით არჩვენებს მნახველებს მოდელებიან პლაკატებს, რომელთაგან ზოგის თმა გელით არის გადაგლესილი, ზოგს კი დისკოს სტილში ფაშფაშა თმის ვარცხნილობა და არქიტექტურული „ქილვაში“ ამშვენებს. ყველაფერს ისეთი დინჯი და კეთილშობილური იერი აქვს, როგორც ისლამურ სოფელში გამართულ დისკოთეკას ეკადრება.

> **ინფორმაცია თემაში**
>
> **ყაზანში გაიხსნა მამაკაცთა მუსლიმანური საპარიკმახერო, სადაც დალაქები მხოლოდ მამაკაცები არიან. ამის მიზეზი ისაა, რომ ყურანით ქალს ჭეშმარიტი მუსლიმანის თავის შეხება აკრძალული აქვს.**

### ინტიმის შეთავაზება... ადრენალინის შესავსებად

**ინტერნეტის სოციალურ ქსელებსა და ცოცხალ ჟურნალში მრავალი დახურული ფორუმია, რომელთა წაკითხვა მხოლოდ რეგისტრირებულ მომხმარებლებს შეუძლიათ.** მათში 14 წელს გადაცილებული მოზრდილები და ქალიშვილები მონაწილეობენ. ლაპარაკია შეჯიბრზე – ვინ უფრო მეტ კლიენტს „იშოვის“, თუკი თავს მეძავად გაასაღებს. როგორც წესი, გამარჯვებული სახელობით დიპლომსა და, ვთქვათ, „მის მოსკოვის“ (ან რომელიმე ნებისმიერი სხვა ქალაქისძ ტიტულს იღებს.



ამ უცნაური და მეტად სახიფათო თამაშის მონაწილენი, ჩვეულებრივ, მდიდარი მამიკოების ლამაზმანი ქალიშვილები არიან. რუსეთელი ჟურნალისტების გამოკვლევით, ახალგაზრდობის ამ, ასე ვთქვათ, „გართობის“ კატალიზატორი, დღესასწაულთა სააგენტოს „კნიაზევის“ დირექტორი სერგეი კნიაზევი გახდა. სწორედ მან გაავრცელა პირველად ინტერნეტით ამბავი, რომ ყველაფერს მოყირჭებული ოლიგარქები ხშირად ბომჟების და მეძავების როლს ასრულებენ ხოლმე. მაგრამ თუკი უფროსები ამ სახიფათო თამაშით დაზღვეულები ერთობიან – დაცვას ისინი ნებისმიერი მდგომარეობიდან პირველსავე ნიშანზე გამოჰყავთ, არასრულწლოვანებთან საქმეს არც ერთი დაცვითი სააგენტო არ იჭერს, მაგრამ მოზარდებს, როგორც ჩანს, ეს სულაც არ ადარდებთ, მთავარია იდეა მოეწონოთ...

მოკლედ, როგორც ჩანს, უკვე გაიზარდა და, ფაქტობრივად, ჩამოუყალიბდა მენტალიტეტი იმ თაობას, რომელიც მზად არის ადრენალინის უკმარისობის შესავსებად ნებისმიერ რისკზე წავიდეს. ეს კი, დაგვეთანხმებით, საკმაოდ საშიშ პერსპექტივებს უქადის ყველას.

### 33-ე... კახპა



**წარსულში ცნობილმა რუსეთელმა, ამჟამად კი ამერიკის მოქალაქე ჩოგბურთელმა ანა კურნიკოვამ, რომელმაც კორტებს გარეთ ესპანელ მომღერალ ენრიკე იგლესიასთან სკანდალური რომანითა და მამაკაცთათვის განკუთვნილ ჟურნალებში ფოტოსესიებით გაითქვა სახელი, ისლამური სამყაროს კრიტიკა და ლანძღვა-გინება დაიმსახურა.** საქმე ის არის, რომ ჟურნალ „მაქსიმის“ ერთ-ერთ ბოლო ნომერში, რომელიც 3 D ფორმატითაა გამოცემული, ერთ-ერთ ფოტოზე საბანაო კოსტიუმში გამოწყობილ კურნიკოვას ამერიკის პატარა დროშა უკავია, მეორეზე კი ისრაელის ჯარის ჩაფხუტის მსგავსი ქუდი ახურავს, რამაც ისლამისტების რისხვა გამოიწვია.

„სამწუხაროდ, ფულის მოსახვეჭად ზოგიერთი ქალი სიონისტურ კახპობასაც კადრულობს“, – წერს პორტალი სელებჯიჰადი. დაბოლმილ ისლამისტებს არც იმის თქმა დავიწყებიათ, რომ „კახპა კურნიკოვა“ მხოლოდ მამაკაცებში ცხოველური ინსტინქტების აღმძვრელია, რომელსაც სპორტული კარიერის მანძილზე არც ერთი დიდი ტურნირი არ მოუგია, ხოლო WTA რეიტინგში მისი უმაღლესი ადგილი 33-ე საფეხური იყო.

## დღის კალენდარი — 12 იანვარი

**ხსენება წმიდა მოწამის ანუსია ქალწულისა; წმიდა მღვდელმოწამე ზოტიკე ხუცისა, ობოლთა აღმზრდელისა; 70-თაგან წმიდა მოციქულის ტიმონისა; წმიდა მოწამის ფილერეტ ნიკომიდიელისა; ღირს დედათა: თეოდორა კესარიელისა და თეოდორა კონსტანტინეპოლელისა.**



**ამოდის 07.27**
**ჩადის 16.52**



**ამოდის 05.18**
**ჩადის 14.11**

### დაიბადნენ:

**1628 – შარლ პერო,** ფრანგი მეზღაპრე. გარდაიცვალა 1703 წელს.
**1867 – ჯეკ ლონდონი,** ცნობილი ამერიკელი მწერალი. გარდაიცვალა 1916 წელს.
**1897 – მიხეილ (მიქელ) თარხნიშვილი,** ფილოლოგი. გარდაიცვალა 1958 წელს.
**1905 – შალვა რადიანი,** კრიტიკოსი, პროფესორი. გარდაიცვალა 1977 წელს.
**1926 – ლევან ცუცქირიძე,** მხატვარი, პროფესორი.
**1929 – გურამ საღარაძე,** მსახიობი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.
**1937 – მიხეილ მესხი,** ცნობილი ფეხბურთელი. გარდაიცვალა 1995 წელს.

### გარდაიცვალნენ:

**1976 – აგატა კრისტი,** გამოჩენილი ინგლისელი მწერალი.
**1977 – ანრი კლუზო,** ფრანგი რეჟისორი, სცენარისტი, პროდიუსერი.
**1991 – ვასკო პრატოლინი,** იტალიელი მწერალი.

### მოვლენები:

**1793 წელი** – დასრულდა პეტერბურგის კონვენცია (პოლონეთის მეორე გაყოფა).
**1992 წელი** – რუსეთი და უკრაინა შეთანხმდნენ შავი ზღვის ფლოტის გაყოფაზე.

**ღირსსახსოვარი დღეები:**
**რუსეთის ფედერაცია** – პროკურატურის მუშაკთა დღე.
**თურქმენეთი** – ხსოვნის დღე.
**ტანზანია** – ზანზიბარის რევოლუციის დღე.

**მედიანიუსი**

## ინფორმაცია

### სამეგრელოში ძროხამ სამი ხბო მოიგო

**ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ლესიჭინეში „წითელი მეგრული“ ჯიშის ძროხამ ერთდროულად სამი ხბო მოიგო. თითოეული მათგანი ცხრა კილოგრამს იწონის.**

**ეს უცნაური მოვლენა აგრონომ თამაზ ახალაიასა და ექთან ნინო მორგოშიას ოჯახში მოხდა.**

ახალდაბადებულებს დედის რძე არ ჰყოფნით და სხვა ძროხების რძითაც იკვებებიან.

– ეს ფაქტი სწავლულებისა და სპეციალისტების დიდ ყურადღებას იპყრობს, რადგანაც 2 400 წლის მანძილზე, ანუ არისტოტელეს დროიდან დღემდე სამეცნიერო ლიტერატურაში მსგავსი ფაქტი არ დაფიქსირებულა, – აღნიშნა ერთ-ერთმა მეცნიერმა.

როგორც სპეციალისტები აცხადებენ, ძროხები მაქსიმუმ ორ ხბოს ბადებენ. ხოლო, სამი ხბოს ერთდროულად დაბადება განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენაა არამარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის.

მეცნიერებს ახლად დაბადებული ხბოების გენეტიკური მაჩვენებლების შესწავლა სურთ და მფლობელებს სთხოვეს სპეციალისტებს მათზე დაკვირვების უფლება მისცენ.

მათი განმარტებით, ძროხების ეს ჯიში გადაშენების პირასაა და მათ განსაკუთრებული ყურადღება სჭირდებათ.

**მედიანიუსი**

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7736 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3623 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7429 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.8437 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9680 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2231 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2495 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2484 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6612 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +2 – +8 |
| ქუთაისი. | +7 – +14 |
| ბათუმი. | +8 – +14 |
| ზუგდიდი. | +4 – +8 |
| თელავი. | -1 – +9 |

## კადრი



## ანეკდოტები

– დედი, ჩვენ საიდან გავჩნდით ამქვეყნად? – ეკითხება მიხო მაროს.

– ღმერთმა შეგვქმნა, შვილო.

– აბა, მამამ რომ მითხრა, მაიმუნებისგან წარმოვიშვითო?

– მე უბრალოდ ჩემს წინაპრებზე გელაპარაკები, შვილო, მამაშენი კი – თავისაზე.



* * *

– რაო, დაგეხმარა ექსტრასენსი?

– ჰო! ეს საშინელებაა! ქმარი დაბრუნდა!

– რატომ არის საშინელება. განა შენც ეს არ გინდოდა?

– მაგრამ დაბრუნდა პირველი ქმარი!, გარდაცვლილი!

* * *

რუსეთმა პირობა დადო, რომ 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის კოსმოსში გაუშვებს პირველ ბრაზილიელს. საპასუხოდ კი ბრაზილიამ იკისრა თერთმეტი რუსისთვის ფეხბურთის სწავლება.

* * *

გინდათ, რომ რუსის სიფათი იაპონელისას დაემსგავსოს? დაალევინეთ მას თბილი არაყი.

**რეკლამა**
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.